



როლანდი



E-mail: r.jalagania@mail.ru
E-mail: roland.jalagania@mail.ru

№355 (414) 15-22 მარტი 2016 წელი სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო 30 თეთრი

სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრულად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ვნა – აააკი ვანიძე

ალექსანდრა ჭაჭია
საქართველოს ხელისუფლებამ
ყველაზე უბუნური და
უჭკუო ნაბიჯი გადადგა
დაიბეჭდა გაზეთში „ალია“, 2008 წლის
აგვისტოს თმის მძიმე დღეებში

გვ. 2

იგორ კაკელია:
ბერმანელი
ავტორები
სამეგრელოს
შესახებ

გვ. 4

სვატოვლუკ
ჩხი:
მოგზაურობა
კავკასიაში
თარგმანი
ალ. კაკულიასი

გვ. 5

მამანტი ქაქამია:
ქვა-ლორღით ნუ ჩაუხერბავთ
გზა-სავალს და ნუ გადაუკეცავთ
მოგავალს, თანამედროვე და
შედეგომ თაობებს,
კეთილშობილო აღამიანებო!

გვ. 10




კონსტანტინე
კაკანელი
(ჭანბურაია):
ჩენესანსი
ლიტერატურაში

რაც კარგი, ძლიერი და მშვენიერია ბუნებაში, სამყაროში ეს მითვისებული აქვთ რუსთაველის ადამიანებს. რუსთაველი ხშირად ადარებს თავის გმირებს ღომს, ვეფხვს, მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს მხოლოდ იმიტომ, რომ შეამკოს ადამიანის მძლეობა, მისი ესთეტიკური გამოხედვა, მისი ქცევა, მისი გატაცება.

გვ. 3


იზა თამაზაშვილი:
ევროკავშირთან მიახლოებამ
ქვეყნის ბიუჯეტში სარიტუალო
მომსახურების ხარჯები
გაზარდა

გვ. 8



საქართველოში
შეიქმნა
ბლოგი
აფხაზური
ენის
შესწავლის
მსურველთათვის

გვ. 7



გელა
ჯიღაური:
ქალი,
“საოცრება
-მოვლენა”

გვ. 6

საქართველოს ხელისუფლებამ ყველაზე უზუნური და უჩვეულო ნაბიჯი გადადგა

დაიბეჭდა გაზეთში „ალია“, 2008 წლის აგვისტოს თვის დღეებში, №98

– ბატონო ალექსანდრე, შექმნილ სიტუაციაში როგორია თქვენი პროგნოზი და როდის დამთავრდება ეს ჯოჯოხეთი?

– სამწუხაროდ, ამ საშინელი საფრთხის შესახებ მე არაერთხელ გამოფრთხილებია როგორც ხელისუფლებას, ასევე საზოგადოებას, მაგრამ ჩემი სიტყვები მნიშვნელოვნად არავინ მიიხსნია. საქართველოს ხელისუფლებამ ყველაზე უზუნური და უჩვეულო ნაბიჯი გადადგა. მოხდა ის, რისიც ყველაზე უფრო მეშინოდა, რომ რუსები დაიკავებდნენ კოდორის ხეობას და სამხრეთ ოსეთს და გადახაზავდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თეორიულ შესაძლებლობასაც კი. გარდა ამისა, უახლოეს მომავალში ჩვენ აღმოვჩნდებით უმძიმეს ეკონომიკურ სიტუაციაში, მაგრამ მთავარი ახლა ეს არ არის, მთავარი ის არის, რომ ყოველ წუთში იღუპებიან ადამიანები და მთავრობამ სასწრაფოდ უნდა მიიღოს ზომები.

– სარკოზი ხომ შეხვდა მედვედევს და ნ-პუნქტიანი დოკუმენტიც შეიმუშავეს. სააკაშვილმა ვეროპის ლიდერები ჩარია და მეტი რა უნდა ექნა?

– პრეზიდენტ სარკოზისა და პრეზიდენტ მედვედევის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე არაფერი წერია და იგი არ არის აღიარებული არც სარკოზის და არც მედვედევის მიერ. დოკუმენტში მხოლოდ საქართველოს სუვერენიტეტზეა საუბარი, სუვერენიტეტი კი ზოგადი ცნებაა და კონკრეტულად არაფერს ნიშნავს. მოხდა ის, რისიც ყველაზე უფრო მეშინოდა. საფრანგეთი და ევროკავშირი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის წინ წამოწვევით რუსეთს არ აღიზიანებენ. რაც შეეხება სტატუსს, მე უკვე წარმომიდგენია, როგორ შეიქმნება საერთაშორისო კომისია ცხინვალისა და აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რამდენ ხანს იმუშავებს ეს კომისია და რით დამთავრებს თავის მოღვაწეობას. ბოლო-ბოლო, ისინი რუსეთის პოზიციას წინ ვერ აღუდგებიან.

– როგორ ფიქრობთ, სააკაშვილი

სარკოზისა და მედვედევის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს ხელს მოაწერს?

– იმის შემდეგ, რაც სააკაშვილმა ჩაიდინა, მისი ქცევისა და მოქმედების პროგნოზირება ყოველად შეუძლებელია.

– თქვენი აზრით, ამ სიტუაციაში რა უნდა გააკეთოს სააკაშვილმა?

– სააკაშვილს თუ უნდა ამ სიტუაციიდან გამოსვლა, მე მზად ვარ კონსულტაცია გაეწვიოს მას, მოვიდოდ ამით ხელი, გაგვრინდე მოსკოვში და მოვილაპარაკო.

– და თქვენ ფიქრობთ, მედვედევი ან პუტინი მას შეხვედებიან?

– მე ვერანაირ გარანტიას ვერ ვიძლევი, მაგრამ ვცდილობ, რომ ამ უბედურების დროს, როცა ქვეყანა იღუპება, გააკეთო ყველაფერი, რათა სისხლისღვრა და ნგრევა შეწყდეს და დავიწყოთ მოლაპარაკება. რაც შეეხება სააკაშვილის ხელისუფლების წასვლას, არა მგონია რუსეთს იმის შესაძლებლობა ჰქონდეს, რომ ვინმე აქ დანიშნოს უფროსად. მიმანია, რომ რუსეთმა რომც აიძულოს სააკაშვილი და გადააყენოს, ამერიკელებს აქ პყავს სააკაშვილის შემცვლელი ემული და სააკაშვილს ამ ემულით ჩაანაცვლებენ. ასე რომ, რუსულ-ქართულ ურთიერთობებში პრინციპულად არაფერი შეიცვლება, რადგან მართლმეტ, რომელი ქვეყნისაც გინდა იყოს, ქართულ საქმეს საქართველოში არასოდეს გააკეთებს.

– როგორ შეიძლება სააკაშვილი ენდოს პუტინსა და მედვედევს და მოსკოვში თქვენთან ერთად წამოვიდეს, როცა პუტინმა სააკაშვილზე „გენოციდის გამოძიების“ შესახებ დაიწყო ლაპარაკი?

– კი, ეს ლაპარაკი დაიწყო და გააგრძელებენ ამ საუბარს და ამიტომ გეუბნებით, დროზე უნდა მიიღოს სააკაშვილმა გადაწყვეტილება. გაანებონ თავი ხალხის მოტყუებას, გაგანებონ თავი ე.წ. „მსოფლიო თანამეგობრობას“ და „დემოკრატიულ დასავლეთს“. ქართველებო, დამიჯერეთ ახლა მაინც, ამერიკასა და ევროპას საქართველოს ბუდი ფეხზე პკიდათ, ჩვენი გულისთვის რუსეთთან სამხედრო კონფლიქტში არავინ არ შევა. არავის ჩვენ იმდენად არ ვჭირდებით, რომ რუსეთს სამხედრო ან პოლიტიკური თვალსაზრისით ჩვენი გულისთვის დაუპირისპირდნენ. ამას ვამბობდი წლების განმავლობაში და

მაინცდამაინც სისხლი უნდა დაიღვროს იმისათვის, რომ ეს ჭეშმარიტება გაგვევო?

– აბა ბუშის განცხადება რუსეთი იზოლაციაში მოექცევაო, ან ამდენი პრეზიდენტის ერთად ჩამოსვლა და პოლიტიკური მხარდაჭერა რას ნიშნავს?

– ეს არის სისულელე და რაც საქართველოში დღეს ხდება, ყველაფერი ამერიკის წაქეზებით მოხდა. ენახე ერთი, რას გააკეთებენ ესენი რუსეთის იზოლაციაში მოსაქცევად და როგორ მოახერხებენ ამას. ჩვენც ვუყურებთ ამით დაპირებებს და ქვეყნის ნგრევას. გაგანებოთ თავი ამ ბრიყველ, პროვინციალურ ლაპარაკს იმის შესახებ, რომ თურმე მთელი მსოფლიო ჩვენ გვიჭერს მხარს.

– სარკოზი რომ ჩამოვიდა და ხელშეკრულება ჩამოვიტანა, ესეც ლაპარაკია?

– დასავლეთი მხარს გვიჭერს სიტყვებით, ხოლო რუსები გვობმბავენ. აი, ამაზე ვიფიქროთ და მოლაპარაკება იმასთან კი არ დავიწყოთ, ვინც თეორიულად მხარს გვიჭერს, არამედ იმასთან, ვინც გვობმბავს, რათა შევანეროთ დაბომბვა. თუ ზომები არ იქნება მიღებული, დაბომბვები გაგრძელდება მანამ, სანამ საქართველოს მთელი სამხედრო ინფრასტრუქტურა არ განადგურდება. გიმეორებთ, – სააკაშვილს ჯერ კიდევ აქვს შანსი, რომ გადაარჩინოს სიტუაცია. ამისათვის საჭიროა გაკეთდეს რამდენიმე სვლა და ამოქმედდეს ფარული დიპლომატია. თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას, ეს საგაზეთო თემა არ არის.

– ეი, თუ თქვენ დაგიკავშირდებით სააკაშვილი, ეცდებით, რომ ის მედვედევს ან პუტინს შეახვედროთ?

– მზად ვარ, თუ სააკაშვილი მეტყვის, რომ მას მიზნად არ აქვს ჩვენი ტერიტორიების დაკარგვა, ხალხის ჩახოცვა და აქედან წასვლა, მაშინ მე შევთავაზებ მას რამდენიმე სვლას, რომელიც მან როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ უნდა გააკეთოს. თუ სააკაშვილი ამას დანახმდება, მაშინ ჩავალ მოსკოვში და შევეცდები, შეწყდეს ეს დაბომბვა, ხოლო ამის შემდეგ დაიწყოთ მოლაპარაკება. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა საბოლოოდ დაგვეღუპება.

– დასავლეთის დიპლომატია კი გააქტიურდა, მაგრამ თქვენი აზრით, რას მოიმოქმედებს რუსეთი, რას იხამს?

– მე გეტყვით, რასაც მოიმოქმედებს. აფხაზეთისა და ცხინვალის ტერიტორიებს სრულად გააკონტროლებს, არ დაჯდება მოლაპარაკების მაგიდასთან მანამ, სანამ საქართველო კოკოთთან და ბაღაფშთან არ მოაწერს ხელს ხელშეკრულებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ. მერე უკვე დაიწყება მოლაპარაკებები, რასაც არავითარი შედეგი არ მოჰყვება, რადგან რუსეთი აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობის აღიარების ინიცირებით გამოვა. ამიტომ მოეუწოდებ მიხეილ სააკაშვილს, ჯერ კიდევ არ არის გვიან და მიიღოს გადაწყვეტილება.

– და რა აზრი აქვს სააკაშვილის ჩასვლას და რუსეთთან მოლაპარაკებას, თუკი ამას არანაირი შედეგი არ მოჰყვება?

– ამ მოლაპარაკებებს ის აზრი აქვს, რომ შეწყდეს ჩვენი მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკება და რუსეთმა რომელიმე დოკუმენტში აღიაროს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. რუსეთმა ე.წ. სარკოზის დოკუმენტში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ აღიარა...

– ეი, ამერიკისა და დასავლეთის აქტიურობას შედეგი არ ექნება და მათი იმედი არ უნდა გექონდეს?

– კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენი გულისთვის რუსეთთან ურთიერთობას არავინ გაიფუჭებს. სამწუხაროდ და საუბედუროდ, რუსეთსა და ამერიკას შორის საქართველო იქცა სისხლიან პოლიგონად, სადაც არა ამერიკელები, არამედ მხოლოდ ქართველები იღუპებიან. ევროპა რუსეთთან ურთიერთობას არავითარ შემთხვევაში არ გაიფუჭებს. ევროპამ კარგად იცის, რომ ახალი წლიდან გაზხე ახალი ფასები უნდა დავსდეს, კარზეა მომდგარი კრიზისი და ამდენად, საქართველოსთვის რუსეთს არავინ დაუპირისპირდება, გარდა ამერიკის შეერთებული შტატებისა, რომელსაც სჭირდება ეს კონფლიქტი ცხინვალში. ერაყში განვითარებული მოვლენებისა და იქ ჩადენილი დანაშაულებების გამო ამერიკამ მსოფლიოში აგრესორის იმიჯი შეიქმნა. ამერიკას სჭირდება მორე აგრესორი და ცხინვალის კონფლიქტით მან ასეთი აგრესორი შექმნა – რუსეთი. ერთი სიტყვით, ცხინვალის კონფლიქტით მოიგო მხოლოდ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ესაუბრა დიტო ჩუბინიძე

რუსულმა საწვავმა ქართული ბაზარი დაიკაო



ქართულ ბაზარზე რუსული საწვავის წილი დიდი სისწრაფით იზრდება, – ამის შესახებ საკმაოდ ვრცელი წერილი გამოაქვეყნა გაზეთმა „რეზონანსი“. თუ გასულ პერიოდში რუსეთიდან იმპორტირებულ ბენზინსა და დიზელს, დაახლოებით, 10% ეკავა, იანვარში ეს მაჩვენებელი ერთბაშად 43%-მდე გაიზარდა. სპეციალისტები ამ ფაქტს რუსული საწვავის სიაფით და, სხვა მომწოდებლებთან შედარებით, მისი მაღალი ხარისხით ხსნიან. პარალელურად აღნიშნავენ, რომ წინა წლებისგან განსხვავებით, ენერგობაზარი ახლა მეტად თავისუფალია, გაიზარდა იმპორტიორთა რიცხვი და შესაბამისად კონკურენცია, რაც ავტომატურად იწვევს იმპორტირებულ ბენზინისა და სხვა საწვავ-საცხები მასალების გაიაფებას. როგორც ცნობილი გახდა, 1 ტონა რუსულ საწვავს ჩვენი იმპორტიორები დაახლოებით 5-დან 10 დოლარამდე ფასდაკლებით ყიდულობენ. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, 2016 წლის იანვარში რუსეთიდან 32,9 ათასი ტონა ბენზინი და დიზელი შემოვიდა, რაც მთლიანი იმ-

პორტის 43%-ია. რუსეთმა ამ მაჩვენებლით საგრძობად გაუსწრო რუმინეთს, რომელიც საქართველოში საწვავის იმპორტიორ ქვეყნებს შორის ლიდერი იყო. ამჯერად რუმინეთი მეორე ადგილზეა და ამ ქვეყნიდან სულ 17,9 ათასი ტონა (23,4%) ბენზინი და დიზელი მივიდეთ, შემდეგ მოდის აზერბაიჯანი – 9,5 ათასი ტონა (12,4%), საბერძნეთი – 6,7 ათასი ტონა (8,7%). ამ სტატისტიკაში, კიდევ ერთი ტენდენცია დაფიქსირდა, საქართველოში თურქმენეთიდან უფრო მეტი საწვავი შემოვიდა (5,4 ათასი ტონა, ანუ 7,0%), ვიდრე ბულგარეთიდან (4,2 ათასი ტონა, ანუ 5,5%).

ბოლო წლების განმავლობაში რუსეთიდან ნავთობპროდუქტების იმპორტი სტაბილურად ხორციელდება, თუმცა ამ ქვეყნის წილი მთლიან იმპორტში შედარებით მოკრძალებული იყო და მხოლოდ 10%-ის ფარგლებში მერყეობდა. „ნენტას“ დამფუძნებელი ზაად იაკობიძე აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ტრეიდერები რუსულ საწვავს შედარებით იაფად ყიდვიან და მასზე მოთხოვნა ამიტომაც გაიზარდა.


“რუსული საწვავის ფასი უფრო მისაღებია. ჩრდილოეთიდან, პირითადად, დიზელის საწვავის იმპორტი ბაიზარდა, თუმცა მათეაა ბენზინის კუთხითაც. ამ ტენდენციას მხოლოდ ერთი ახსნა აქვს – ფასი და ხარისხი. ამ

შემთხვევაშიც ფასი “კლასტთან” მიმართებაში სპეციალური ფორმულით დგინდება, თუმცა შემდეგ, სხვა ძველების საწვავთან შედარებით, ფასდაკლება უფრო მეტია – 1 ტონაზე 5-დან 10 დოლარამდე. ამასთანავე, ხარისხი, აბსოლუტურად, აკმაყოფილებს სტანდარტს. რუსეთიდან იმპორტირებული (10PPM) იმპორტი ხორციელდება”, – ამბობს ზაად იაკობიძე.

მისი ინფორმაციით, რუსეთიდან საწვავი ბათუმისა და ფოთის პორტებიდან შემოდის. ასევე ბოლო პერიოდში, საწვავის შემოტანა აზერბაიჯანის გავლით გარდაბანამდ რკინიგზითაც დაიწყო. “ვაჭრობა საერთაშორისო ტრეიდერების მეშვეობით ხდება და იმპორტიორებს უშუალოდ ქარხნებთან ურთიერთობა არ აქვთ”, – აღნიშნავს ზაად იაკობიძე. ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ხელმძღვანელი ვანო მთვრალაშვილი აცხადებს, რომ ბოლო წლების განმავლობაში, პირველი შემთხვევაა, როდესაც რუსეთიდან საწვავის ყვე-

ლაზე დიდი მოცულობა შემოვიდა. მისივე განმარტებით, საწვავის ბაზარზე კონკურენცია ძალიან გაიზარდა, დაახლოებით 20 მსხვილი და პატარა იმპორტიორი საქმიანობს. შესაბამისად, მათთვის, ხარისხთან ერთად, რომელი მომწოდებლის მიერ დადგენილი ფასიც მისაღებია, საწვავის იმპორტს იმ ქვეყნიდან იწყებენ. “ეს ხდება საერთაშორისო ტრეიდერების დონეზე, იმპორტიორებს ფასს ისინი სთავაზობენ. სიმართლე გითხრათ, რუსეთიდან ასეთი დიდი რაოდენობის საწვავის იმპორტი ჩემთვისაც მოულოდნელი იყო, ვინაიდან წინა წლებში მსგავსი ფაქტი არასდროს დაფიქსირებულა. რუსეთიდან, ძირითადად, დიზელის საწვავის იმპორტი გაიზარდა, ბენზინი შედარებით მცირე რაოდენობით შემოდის. ბაზარი თავისუფალია და ტენდენცია ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს. საქართველოში დღეს 20-ზე მეტი იმპორტიორი კომპანია ოპერირებს, როგორც საყოველთაოდ ცნობილი, ისე ნაკლებად ცნობილი”, – ამბობს ვანო მთვრალაშვილი და ამასთანავე დასძენს, რომ რუსეთიდან საწვავის იმპორტის მოცულობის გაზრდაზე გაკლენა მოახდინა იმ ფაქტმა, რომ ძირითად შემომტანებს გარკვეული შეფერხება ჰქონდათ. ცნობისათვის, შარშან საქართველოში იმპორტირებული საწვავის მთლიანი მოცულობიდან მხოლოდ 10% მოდიოდა რუსეთზე (101,8 ათასი ტონა). 2015 წელს ტრადიციულად, ყველაზე მეტი საწვავი შემოვიდა რუმინეთიდან (31%), აზერბაიჯანიდან (25%), ბულგარეთიდან (17,2%) და რუსეთი თავისი მაჩვენებლით მეოთხე ადგილზე იყო.

მაკა ხარაზიშვილი



პრემიასანი საქართველოში – შოთა რუსთაველი

(გაგრძელება წინა ნომრიდან)
რუსთაველის წარმოდგენაში სამყარო მოცემულია როგორც უსაზღვროება, სადაც შეგვარებული ადამიანები, ავთანდილისა და ტარიელის სახით, ეძებენ ბედნიერებას და სილამაზეს. მაგრამ ავთანდილი – გონებისა და აზრის განსახიერება – ხედავს, რომ "ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან". რუსთაველი აქ უფრო ღრმად, ვიდრე ლაიბნიცი და შოპენაუერი. ლაიბნიცი სამყაროს იღებს, როგორც წინასწარ მოცემულ პარამონიას, რაც ჩვენში ბადებს თვითკმაყოფილებას, მეშინურ განწყობილებას. შოპენაუერი სასოწარკვეთილებასა და უიმედობაში გვაგვებს თავისი პესიმიზმით, ნირვანით და სურვილების ჩაკვლით. ქვეყანა მშვენიერია – ამბობს ლაიბნიცი. ქვეყანა არც მშვენიერია და არც საბაველი – ამბობს რუსთაველი. სიმშვენიერე და სისაბაველი მთლიანობაშია და ვისაც მშვენიერება უნდა, მან ბრძოლით უნდა სძლიოს სისაბაველს. ლაიბნიცისა და შოპენაუერის მსჯელობაში სამყარო განხილულია თავისთავად, ადამიანების მიღმა, კაცობრიობის შემოქმედება და საქმიანობა გამორიცხულია ამ ფილოსოფიაში. რუსთაველის წარმოსახვაში ადამიანი მოცემულია, როგორც სამყაროს გარდაქმნელი, გადაამკეთებელი ძალა. რუსთაველის ფილოსოფია ბრძოლისა და ქვეყნის გადაკეთების ფილოსოფიაა.

ცხოვრების უღრმეს ფილოსოფიას, თეორიას რუსთაველი ავსებს მოქმედებით, საქმით, პრაქტიკით. ავთანდილმა შესანიშნავად გადაუშალა ტარიელს ცხოვრების აზრი, სიმწერის და სიტკბოების ურთიერთობა, ბრძოლის აუცილებლობა, მაგრამ ტარიელი მაინც ფეხზე ვერ ააყენა, მისი გრძობა და ნება ვერ შეცვალა; მაშინ ავთანდილმა დაიხმარა სხვა ხერხი: გონებისა და ნების მომართვისათვის მან შეუცვალა მდგომარეობა ტანს, სხეულს, მატერიალს:

"ნუ გამგზავნი გულმოკლულსა, ერთი მიყავ საწადელი, ერთხელ შეგვც ცხენოსანი გნახო ჩემი სულთამხდელი,

ნუთუ მაშინ მოვიქარო სევდა ესე აწინდელი; მე წავალ და შენ დაგაგდებ, იქმნას შენი საქადელი!" (887)

გვეწვდები: "შეგვო", აჯას ხვეწნითა არგებდა, იცოდა, რომე შეგვდომა კაეშანს მოაქარებდა, ლერწმისა სარსა დასდრეკდა, გიშერსა დააკარებდა; დაიმორჩილა; ეამა, არ ივაგლახა, არ ვებდა. (888)

ცხადად უთხრა: "შეგვდებიო, მომიყვანე ცხენი წინა". მან მოგვარა, წყნარად შესვა, არ სიჩქარით ააქშინა; მინდორთაკე წაიყვანა, ტანი მჭევრი აძერვინა; ხანი წავლეს, სიარულმან მოჯობება დააჩინა." (889)

ტანის მოძრაობა შექმნა სულიერი განწყობილებისა და ნების სხვაობა. შეიცვალა ტანის, სხეულის მდგომარეობა, მასთან ერთად შეიცვალა გრძობა, სულიერი განწყობილება, ნება; შეიცვალა ადამიანის ხასიათი, ქცევა და მისწრაფება.

განუზომლად დიდი რუსთაველის ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში: დოგმატიზმისა და სქოლასტიკის ეპოქაში რუსთაველი იძლევა მოძრაობის და მოქმედების ფილოსოფიას, მაგრამ არა ემპირიული განაპირობებით, ფაუსტური გაგებით, საქმისწერი წვრილმანური მიდგომით, არამედ აზრისა და საქმის გაერთიანებით, თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთდაკავშირებით. "პირველად საქმე იყო" – ამბობს ფაუსტი, მაგრამ საქმე საჭიროებს აზრს. აზრი და საქმე ერთმანეთს აფორმებენ და ავითარებენ. არ არსებობს უაზრო საქმე და არც უსაქმო აზრი: არ შეიძლება აზრისა და საქმის ერთმანეთისაგან განაპირობება ემპირიულად, როგორც ამას სჩადის გოეთე. შესანიშნავად არკვევს აზრისა და საქმის ურთიერთობას კარლ მარქსი "კაპიტალში" შრომისა და ანალ-

იზის დროს. რაც უნდა ცუდი ინიერი იყოს, ამბობს მარქსი, – მას საქმის დაწყებად თავში აქვს გეგმა, სქემა იმისა, რაც უნდა გააკეთოს.

რუსთაველის ავთანდილსაც აქვს გარკვეული გეგმა, რომლითაც ის მიზანს აღწევს. აზრის საშუალებით ავთანდილი ცვლის ტარიელის მდგომარეობას – შესვამს ცხენზე, რადგან იცის "შეგვდომა კაეშანს მოაქარებს" ამის შემდეგ რუსთაველი ფილოსოფიურად ამბობს:

"რა შეატყო მოჯობება, მან სევდისა მუფარხმან, განათლა პირი ვარდი სიხარულმან დაუსახმან; ცნობიერთა დასტაქარმან, უცნობოთა ოხვარა-ახმან ცნობიერი სიტყვა უთხრა უცნობისა რასმე მზრახმან" (891).

შეცვლილმა მდგომარეობამ შეცვალა ადამიანი მთლიანად. ავთანდილი შეიქმნა ტარიელის სევდის მუფარახი, გამქარვებული.

რუსთაველის ადამიანი ადამაზებს ცხოვრებას, რუსთაველის ადამიანი გონების, მოხერხების, სილამაზის, სიძლიერის, სიყვარულის თავების განსახიერებაა.

რაც კარგი, ძლიერი და მშვენიერია ბუნებაში, სამყაროში ეს მითვისებული აქვთ რუსთაველის ადამიანებს. რუსთაველი ხშირად ადარებს თავის გამირებს ღმერთს, ვეფხვს, მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს მხოლოდ იმიტომ, რომ შეამკოს ადამიანის მძლეობა, მისი ესთეტიკური გამოხედვა, მისი ქცევა, მისი გატაცება. რუსთაველი სასტიკი წინააღმდეგაა ყოველგვარი კულტის, გარდა ადამიანობის კულტისა. რუსთაველის მსოფლშეგონება ანტიდოგმატიური და ანტიმისტიკურია. მთელ პოემაში არსად არ არის მიქცეული ყურადღება კულტებისა და ადათებისადმი, ეკლესიისა და რელიგიისადმი; სამყარო, მისი უსაზღვროება, საგნები, მოვლენები, დღე-ღამე, მზე, პლანეტები რუსთაველის წარმოდგენაში ისე გამოიყურებიან, როგორც ბერძნულ მითებში.

ადარებს რა ბუნებას და სამყაროს თვისებებს თავის გამირების თვისებებს, რუსთაველი მტკიცედ აღნიშნავს ადამიანური თვისებების უპირატესობას: "მთვარესა მისთა შექთაგან უკუნი გარდაჰყვნოდა" (122), "თინათინებდა" (51), "რა გაიზარდა, გაივსო, მზე მისგან საწუნარია" (34). აქ არ არის მზის ან მთვარის კულტი, აქ არის კულტი თინათინისა, ქალისა, ადამიანისა. მულდახანზარის ველზე ავთანდილი უმღერის რა მზესა და პლანეტებს, თითოეულ მათგანს მიაწერს ადამიანურ თვისებებს; მარხი, ოტარიდი, ზუალი, მთვარე წარმოსახულია ადამიანური ყოფა-ცხოვრების ატრიბუტებით. თუ ვინმე ფიქრობს, რომ რუსთაველი, რაკი ხშირად ასხენებს მზესა და პლანეტებს, მათი კულტის შემომტანია ლიტერატურაში, – ცდება. რუსთაველი თავის გამირებს ძალიან ხშირად ღმერთსაც უწოდებს და ვეფხვსაც, მაშინ "ვეფხვისტყაოსანში" ვეფხვის კულტი მაინც უნდა იყოს. ასეთი გაგება რუსთაველის დამახინჯებაა.

რუსთაველის ტიპების გამოხედვა იმედისა და სიცოცხლის ენერჯიას გამოხატავს. რუსთაველის გამირები მიქვლანჯელოს ქანდაკებებს გვანან. რუსთაველსა და მიქვლანჯელოს ერთი ძირითადი თვისება ახასიათებს – ადამიანისა და ადამიანობის ძლიერი გამოსახვა, რაც გვაგონებს ანტიკურ-ესთეტიკურ ასახვას თავისი დამახასიათებელი ნიშნებით. ანტიკურ ხელოვნებას, რუსთაველსა და მიქვლანჯელოს ახასიათებს ადამიანის ტიპოლოგიური გამოსახვა ძირითადი ატრიბუტების მიხედვით. ანტიკურ მითოლოგიაში ქალის ტიპი მოცემულია სამი ასპექტით, სამი ატრიბუტით: ჰერა – ნებისყოფის ატრიბუტი, ათინა – გონიერების ატრიბუტი, აფროდიტე – ენების ატრიბუტი. ანტიკური ტრადიციებიც ამ პრინციპზეა მთლიანად აგებული: პრომიეთე, იქსიონი, ორესტე, მედეა, ანტიგონე – სამყაროს ვრცელ არეზე დგანან გარკვეული ატრიბუტებით.

კონსტანტინე კაპანელი (გაგრძელება იქნება)

სიტყვები უძველეს ათასწლეულებს

მისტიური ნოსტრი მითხველთა დიდი ინტერესის გათვალისწინებით გაგრძელებთ ბატონ ნუგზარ კვაშილავას აღნიშნული ნაწარმოების ბეჭდვას

თითქმის ბავშვობიდან მაცნობდა სიტყვის ფენომენი. ყოველთვის მაინტერესებდა თუ რატომ ჰქვია ამა თუ იმ საგანს თუ მოვლენას ესა თუ ის სახელი. ეს ინტერესი გადავიდა იმის ძიებაში, თუ როგორ ურთიერთკავშირში არიან მსოფლიოს კულტურული ერების ენები ერთმანეთის მიმართ. საიდან მომდინარეობენ სიტყვათა ის ძირები, რომლებიც საერთოა სხვადასხვა ენისათვის.

არსებობს მოსაზრება, რომ სიტყვა ეკუთვნის იმ ენას, რომელზედაც ის იშორება, მაგალითისთვის მოვიყვანოთ სიტყვა "გვერდი", რომელიც ნიშნავს ფურცლის ნახევარს, ხოლო მეგრულად "გვერდი" სწორედ რომ "ნახევარს" ნიშნავს. ასე, რომ ამ სიტყვის ეტიმოლოგია კოლხურია. მრავალი ამგვარი ეტიმოლოგიები მოვიძიეთ არა მხოლოდ ქართულში, არამედ ევროპულ ენებშიც (ძირითადად ბერძნულსა და ლათინურში, რომელთაგანაც მომდინარეობს ევროპულ ენათა უმრავლესობა). ამის მიუხედავად, რომ კოლხური ცივილიზაცია უძველესია მსოფლიო ცივილიზაციათა შორის და უძველეს დროში აქედან გაედინებოდა კაცობრიობის უახლესი მონაპოვრები მსოფლიოს ყველა მიმართულებით, მათ შორის იყო ენობრივი მონაპოვრები.

სიტყვათა ეტიმოლოგიებზე უშუალოდ ოთხმოციანი წლებიდან დავიწყე. ამ ხნის განმავლობაში ჟურნალებსა და გაზეთებში გამოვაქვეყნე თორმეტი სტატია. თავდაპირველი სტატიები გამოცდებლობის გამო ცოტათი ხისტები გამოდიოდნენ, ხოლო შემდგომში ისინი უფრო დაიხვეწნენ, რასაც მკითხველი ადვილად შეამჩნევს. მიუხედავად ამისა ჩვენ ისინი არ შეგვისწორებია, თუ არ ჩავთვლით კორექტული შეცდომების შესწორებას. აქვე უნდა აღინ-

იშნოს ისიც, რომ რადგანაც სტატიები სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა, ვერ ავიცილეოთ ზოგიერთი სიტყვების და მათი განმარტებების განმეორება.

წიგნის ორი სათაური განაპირობა იმან, რომ მის პირველ ნახევარში განხილულია უშუალოდ ეტიმოლოგიები და რადგანაც ამ სიტყვების ძირებმა ჩვენამდე თითქმის უცვლელი სახით მოადღიეს, ამიტომ ამ ნაწილს დავარქვით "სიტყვები უძველეს ათასწლეულებს" (ყოველ სტატიაში სიტყვები თავიანთ ეტიმოლოგიებთან ერთად დალაგებულია ალფაბეტის მიხედვით და მიღებულია ერთგვარი გლოსარიუმები), ხოლო მეორე ნაწილი – "მისტიური ნოსტრი", ეძღვნება დოკუმენტალურ წყაროებზე დაყრდნობით, ჩვენში ქრისტიანობის ჩასახვას, ქრისტეს კვართის სავარაუდო ისტორიას და თვით მაცხოვრის ბიოგრაფიის შესახებ ჩვენეულ თამამ განცხადებებს.

კოლხიზმები მართულსა და სხვა ენებში

მრავალწლიანმა დაკვირვებებმა სხვადასხვა ენებზე და ამ ენების ზოგიერთი სიტყვის შედარებამ კოლხურ (მეგრულ) ენაში მიმოფანტულ ანალოგიური შინაარსის შესაბამის სიტყვებთან გვაფიქრებინა, რომ აქ უბრალოდ დამთხვევასთან არ უნდა გვეკონდეს საქმე.

XVII საუკუნის უდიდესი გერმანელი ფიზიკოსი ოტო ფონ გერიკე, განათლებით იურისტი იყო. ბენუამინ ფრანკლინს, უბრალო მესაპნის შვილს, არავითარი სასკოლო ან უმაღლესი განათლება არ მიუღია, ისე გახდა არამარტო გამოჩენილი პოლიტიკოსი, არამედ დიდი მეცნიერიც. ელექტრონის აღმოჩენი გალვანის მდიდროსი იყო და თავის "ელექტროქიმიის ისტორიაში" სწორედ ცოდნის ხარვეზებმა დააკეთებინეს მას ეს აღმოჩენა. მაიკლ ფარადეი, ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ბუნებისმეტყველი, მჭედლის შვილი იყო და თავისი კარიერა წიგნის მკინძაობით

დაიწყო. იულიუს რობერტ მაიერი, რომელმაც ენერჯიის მუდმივობის კანონი აღმოაჩინა, ექიმი იყო. სამუელ მორზე, ისევე როგორც დავერი, მხატვარი იყო. პირველმა სტელეგრაფი ანბანი შექმნა, მეორემ კი ფორტოგრაფია გამოიგონა. ეს ჩამოთვალა შეიძლება მეტადაც გაგრძელდეს, მაგრამ ამ მაგალითებიდანაც ცხადია, რომ შეიძლება სრულადაც არ იყო სპეციალისტი (ჩვენი სრულიად არ ვადარებთ თავს ამ უზარმაზარ პიროვნებებს), რომ რაღაც მოკრძალებული წვლილი შეიტანო უცხო დარგში, მითუმეტეს თუ ამ დარგის სპეციალისტები ჯიუტად დუმან.

არც ბატონები შალვა კაჭარავა, ვლადიმერ ალფინიძე, ჯუმბერ კაკულია ბზე დაყრდნობით, ჩვენში ქრისტიანობის ნიერები, მაგრამ ამ მიმართულებით მათი გამოკვლევები და მიგნებები არანაკლებ ინტერესს იწვევენ, ვიდრე უშუალოდ ამ დარგის სპეციალისტთა შრომები.

მოვიყვანოთ ნაწევები ბატონ ზვიად გამსახურდიას წიგნიდან "საქართველოს სულიერი მისია", გვ.8-9:

"ვილჰელმ ჰუმბოლდტი მისმა გამოკვლევებმა ბასკური მოსახლეობის ვინაობის კვლევის სფეროში მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სამხრეთ ევროპის პირი-ნების, იტალიის, ხმელთაშუაზღვის კუნძულების პირველადი ავტოქტონური მოსახლეობა იყო იბერიული მოსახლეობა. ამ მოსახლეობას უწოდებენ პროტობერებს, მათგან მომდინარეობს გვიანდელი ევროპული მოსახლეობა. მეცნიერებაში მიღებულია აგრეთვე ტერმინი – ხმელთაშუაზღვის რასა, მედიტერანული რასა, ანუ მედიტერანული მოდგმა. იმ მოდგმის აღსანიშნავად, რომელიც იდენტურია ტერმინისა კავკასიური რასისა, არის აგრეთვე ტერმინები: პალეოკავკასიური რასა, ანუ უძველესი კავკასიური რასა, უძველესი მედიტერანული რასა, რაც ურთიერთის იდენტურია. საუბარია იმ მოსახლეობაზე, იმ მოდგმაზე, რომელიც სახლობდა პირი-

ნების ნახევარკუნძულიდან ხმელთაშუაზღვის აუზში, ეგეოსის აუზში, ბალკანებზე, თანამედროვე საბერძნეთში, კავკასიაში და ინდოეთის თანამედროვე ტერიტორიაზე, აგრეთვე, მეორე აზიაში და პალესტინაში".

დღეს ამ მოდგმიდან, ამ რასიდან შემორჩნენ ბასკები პირინეებში და კავკასიელები. ხოლო დანარჩენი ტერიტორიები დაიპყრეს ინდოევროპელებმა, სემიტებმა და სხვა ხალხებმა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ავტოქტონების მთლიან განადგურებას არ ექნებოდა ადგილი, ადგილობრივი მოსახლეობა უნდა ითქვას, რომ უთუოდ შეეროდა მომდურებს, რის გამოც მათი ენობრივი მონაცემები გადავიდა მოსული, ახლა უკვე პირიქით ენების ენებში, ასევე ტოპონიმებში, ეთნონიმებში და სხვა. ჩვენი მცირე განმარტებითი ელქსიკონიც ამის დადასტურებაა, სადაც მოცემულია თითქმის მთელს ამ ტერიტორიაზე გაფანტული ხალხის ონომასტიკონი.

ახლა რაც შეეხება უშუალოდ ქართულ ენას. ქართულში დაიძებნება უამრავი კოლხიზმები. მოვიტანოთ ამონაწერი ჯუმბერ კაკულიას წიგნიდან "საქართველოს ისტორიის ახალი აღთქმა" გვ.46: "საქართველოში ქრისტიანული რწმენის გასაგრძელებლად აუცილებელი გახდა ბერძნული ენის გამოყენების გამოყენებით შექმნილიყო ახალი კოლხური ენა-ეკლესიური ენა-ქართული ენა და ქართული ანბანი.

დაიხ, სამეგრელოში, კლარჯეთში, ოპიზელ მამათა მიერ შეიქმნა ქართული ენა. მეოთხე საუკუნისათვის ეს ნაწილი საქართველოს ბიზანტიის იმპერიის შემადგენელი ნაწილიც გახლდათ და ეს ის პერიოდაა, როცა ბიზანტია ინტენსიურად ცდილობს ქრისტიანული რელიგიის დანერგვას მის ქვემდებარე ხალხებში ადგილობრივი ენის, კულტურის გათვალისწინებით."

ნუგზარ კვაშილავა (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

კაქს, რომელსაც მანქანით რისკუბლიკალები მოსწონს, ნამდვილად ვერ ვუნოდავ „ერის კაქს“.

ტყუილად ირჯებიან ნაცები და ნაცმიდრეკილები, როცა ბიძინა ივანიშვილს „რუს ოლიგარქობას“ აბრალებენ...

არც ეგეთი ბრიყვია ქართველი ხალხი, ნამდვილად ვერავის მოატყუებენ, რადგან პიროვნება, სწორედ იმ ქვეყნის ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობას ემორჩილება, იმ ქვეყნის ინტერესებს ატარებს, ვინც განკარგავს მის ფინანსებს და სადაც კაპიტალი აქვს დაბანდებული...

შტერი ან ტვირთბრუნველი ნაცმიდრეკილი უნდა იყო, რომ ბიძინა ივანიშვილს „რუსეთის კაცი“ უწოდო!

აშშ-ს კოლონიურ საქართველოში, ასე გამოშტერდნენ ამერიკელები, რომ რუსეთის მიერ მოვლენილი ოლიგარქს პრემიერად დაგვინიშნავენ?

როდესაც რუსეთი არის ამერიკის სამხედრო მოწინააღმდეგე, ჩვენთან საქართველოში ამერიკელები „რუსეთის კაცის“ მოსვლას დაუშვებდნენ?!

რათ უნდა ამას დიდი კვლევა-ძიება... თუმცა, ჩვენთვის ნამდვილად არ აქვს მნიშვნელობა ამერიკა რას აიძულებს 7 მილიარდის პატრონ ბიძინა ივანიშვილს!...

ქართველმა ხალხმა ბიძინა ივანიშვილს გამოუცხადა სრული ნდობა, მან კი, არც სამართლიანობა აღადგინა, არც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართულებით გააკეთა რამე და ნაციონალები საქართველოს თავზე დაასვა!...

ერთი სიტყვით, ბიძინა ივანიშვილმა ამერიკელების მიერ მიცემული დავალება პირნათლად შეასრულა და 3 %-იანი რესპუბლიკური პარტია მმართველ ხელისუფლებაში მოიყვანა!... როგორც თავად ბიძინა ივანიშვილმა ბრძანა — „ყველაზე დიდი პოლიტიკური კულტურა „რესპუბლიკურ პარტიას“ აქვს“ და ამით პირველმა ყოფილმა პრემიერმა დაამტკიცა, რომ თავდაცვ „რესპუბლიკელთა“ მრწამსის წარმომადგენელია, დღევანდელ საქართველოში კი, 3 %-იანი მანქურთი

რესპუბლიკელობა ვერ ვიტყვი, რომ ძალიან საამაჟო, მიმზიდველი და მომგებიანი პოზიციაა!...

ახლა მომადგებიან ქოცების ძალიან მაღლიერები და მისაყვედურებენ ჩემს „უმადურობას“, როგორ გავბედე თვით მესიის კრიტიკა; ხოლო, მთავარი, შეფასების კრიტერიუმი მდგომარეობს ფრაზაში: „ქოცების“ გამარჯვების შემდეგ პატიმრებს ხომ აღარ აწამებენ... რაა, პატიმართა წამების სააკაშვილის რეჟიმისეული მეთოდები ქოცებსაც უნდა გაეგრძელებინათ და ამას გვაყვედრიან?!

პიროვნებას, რომელსაც მანქურთი რესპუბლიკელობა მოსწონს, ცოტა სეკუტურად ვუყურებ და ნამდვილად ვერ ვუწოდებ მესიას!... თუმცა, არამარტო რესპუბლიკეთა მოწონება, არსებობს უამრავი მიზეზი, რის გამოც ბატონი ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ მიმართ ნდობა დავცა!...

ზვიად გამსახურდიას თუ სამება არ აუშენებია, ნაკლები სიყვარულით სარგებლობდა და სარგებლობს ხალხში, თუ ვერ არის ეროვნული გმირი?!... თავისი სიცოცხლის გაწირვით რომ დაამტკიცა საქართველოს უანგარო სიყვარული, ეს არ არის საკმარისი?!...

ზოგიერთებისგან განსხვავებით ის არ ასრულებდა ამერიკელების მითითებებს და რაც მთავარია, გამსახურდიას არ გადაუბარებია ხელისუფლება მანქურთებისგან შემდგარი რესპუბლიკელებისთვის და ხელედაბანილი არ წასულა!...

ზვიად გამსახურდია, როგორც ქართული სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების დამცველი, მზაკვრულად იქნა მოკლული!...

ასე რომ, მხოლოდ ეროვნული ინტერესების დაცვა საკმარისი იქნებოდა საერთო სახალხო სიყვარულისთვის, ხოლო ფულით ნაყიდი ხალხის სიყვარული არასოდეს არ არსებობს მარადიული!...

ნონა შარაბიძე

ამბები სამხრეთში ტერორიზმის მუხარაზე ჰესების მშენებლობის პირველი ეტაპი დაიწყო

მარტვილის მუნიციპალიტეტში მდინარე ტერორიზმის მიკროპროექტის მშენებლობის პირველი ეტაპი დაიწყო. „ლაივპრესს“ მარტვილის გამგებელმა ალექსანდრე გრიგალავამ განუცხადა, რომ მდინარე ტერორიზმზე 5 კასკადური მიკროპროექტი აშენდება.

„პროექტის ფარგლებში რაც არის გათვალისწინებული ყველაფერი თანმიმდევრულად ხორციელდება. პირველი ეტაპი მოიცავს მოსახლეობასთან შეხვედრებს, რომელიც პერიოდულად მიმდინარეობს“.

გამგებლის თქმით, სამშენებლო სამუშაოების დაწყებას ხელს უშლის ლებარდეს მთაზე თოვლის საფარი.

„ბუნებრივი პირობები არ გვაძლევს მშენებლობის დაწყების საშუალებას. ლებარდესში თოვლია, დაახლოებით ზაფხულის პირველი თვეებიდან შევუდგებით სამშენებლო

სამუშაოებს“, – განაცხადა მარტვილის გამგებელმა.

მისივე ცნობით, პროექტის მშენებლობას და ლებარდეს მიმართულებით გზის დაგებაში 170 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდება.



ჩხოროწყუში ტურისტული მარშრუტის მარკირება დაიწყო

საქართველოში ტურისტებისათვის საინტერესო ქვეყანაა, ეს უკვე საქვეყნოდაა ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ჯერ კიდევ ვერ დგას მყარად ფეხზე, ჩვენთან მინც დღითიდღე მატულობს ვიზიტორთა რაოდენობა.

უცხივლ თუ ქართველ ტურისტთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დასავლეთ საქართველოს, კერძოდ კი სამეგრელოს მთიანეთის განუყოფელი ბუნება, საოცარი კანიონები, უნიკალური ფლორა, არქეოლოგიური ძეგლები, რომელთა რაობა დღემდე საიდუმლოებითაა მოცული და კარს არ უდებს მსოფლიოს სახელგანთქმულ მეცნიერებს.

სწორედ ჩვენი ეს ბუნებრივი სიმდიდრე გახლავთ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ყურადღებისა და ზრუნვის საგანი.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში მუხურბობავანხილის მარშრუტის მარკირება დაიწყო. გამგებლის ტურიზმის განყოფილების უფროსმა ჯანო პერტაიამ „ლაივპრესს“ განუცხადა, რომ „დამონტაჟდება მანიშნებლები იმისათვის, რომ ტურისტმა შეიტყოს, თუ რა სირთულის გზაზე იმყოფება. მაგალითად, საშუალო სირთულის გზაზე ყველაფერი მანიშნებლები იქნება, რთულზე – წითელი“.

მისივე ინფორმაციით, ტურისტული მარშრუტის მარკირების პროექტი, რომელსაც ტურიზმის განვითარების ეროვნული ადმინისტრაცია და ადგილობრივი ხელისუფლება ერთობლივად ახორციელებენ, წლის ბოლომდე დასრულდება.

ტურისტული მარშრუტის მარკირებამდე, სოფელ მუხურბის ცენტრში, ლუგვლას ხეობასა და შურბუმუს მდემის მიმდებარე ტერიტორიაზე საინფორმაციო ბანერები განთავსდა, რომელიც კავკასიის გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის ინიციატივით მოხდა.



შვედეთში „ლიბერალური პარტია“ ნეკროფილიისა და ინცესტის ლეგალიზაციას ითხოვს



აი, როგორი იქნება ჩვენი ქვეყნის პერსპექტივა, თუ ავადსახსენებელი ნაცების ჩამნაცვლებელი „რესპუბლიკელები“ არ მოვიშორეთ თავიდან. უფრო სწორედ, ვიდრე საქართველო მახინჯ გენზე აღმოცენებული ამერიკელების პროტექტორატის ქვეშ იგმინებს, ჩვენ მუდმივად ვიქნებით მსგავსი ამაზრზენი ექსპერიმენტების ჩატარების ობიექტი!

შვედეთის ლიბერალური პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაცია ნეკროფილიისა და ინცესტის ლეგალიზაციის შუამდგომლობით გამოვიდა. ორგანიზაციის განცხადებით, მხოლოდ იმდრო, რომ „სექსუალური აქტის ასეთი ფორმა სისაბაგლე და მიუღებელია“, დაუშვებელია იყოს უკანონო. შვედეთის ლიბერალური პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაცია ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში, 15 წელზე ზემოთ დღივად დედას მიუღებელია შორის, ასევე გვათავსებს სექსუალური კავშირის დაკანონებებას ითხოვს, თუ

გარდაცვლილმა მასთან სექსუალური კავშირის დამყარების თაობაზე თანხმობა გარდაცვალებამდე დაწერა.

„ზოგადად ჩვენ არ მოგვწონს ზნეობრივი კანონები და ამჟამად ეს კანონმდებლობა არ იცავს არაფერს.“

ჩვენ ახალგაზრდული ფრთა ვართ და ჩვენი ერთ-ერთი ამოცანაა, მომავლისკენ ვიაროთ“ – განუცხადა გამოცემა „Aftonbladet“-ს ლიბერალური ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე სესილია იონსონმა.

ყოფილმა დეპუტატმა „ლიბერალური პარტიიდან“ კარლ ბი ჰამილტონმა პარტიის ახალგაზრდული ფრთის წინააღმდეგ მწვავედ გაილაშქრა. განცხადებას სწრაფად მოჰყვა კრიტიკა ლიბერალებისა და მმართველი პარტიის მაღალჩინოსნების მხრიდანაც.

პოლიტიკოსმა მათ „უგუნურები“ უწოდა და პოლიტიკის ხარჯზე გაპოპულარულების სურვილში დაადანაშაულა. „ლიბერალებს ახალგაზრდული ფრთა საკუთარი რეკლამისკენ ისწრაფვის, მაგრამ ნაკლებად წამოჭრის საკითხებს, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი და შვედეთის მომავალს. უნდა გესმოდეთ, რომ ხალხი დასცინის თქვენს ლიბერალიზმს, უგუნურებო. საზოგადოების წინაშე არსებული კიდევ რა გამოწვევები შედის სტოკჰოლმის ლიბერალური ახალგაზრდული ფრთის ტოპ-ასეულში? ბეჭემოთებთან სექსი?“ – დაწერა ჰამილტონმა საკუთარი „ფეისბუქის“ გვერდზე.

„ლიბერალური პარტიის“ პრეს-სპიკერმა აღნიშნა, რომ პარტია არ ემხრობა ახალგაზრდულ ფრთას და ნეკროფილიისა და ინცესტის უკანონობას უჭერს მხარს.

ზუბდიდის მერიამ სტიპენდიებისა და ბრანტების ბაცემა დაიწყო



ქალაქ ზუბდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ „განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამით დაფინანსების წესი“ დაამტკიცა. დოკუმენტი განსაზღვრავს, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ახალგაზრდა, რომელსაც სურვილი აქვს მერის სტიპენდია ან მერიის გრანტი მიიღოს. სტიპენდია თვეში 100 ლარს შეადგენს. თუ მოზარდი სოციალურად დაუცველია ამ შემთხვევაში 125 ლარს მიიღებს. რაც შეეხება გრანტს, ის ერთჯერადად გაცივება და მისი ოდენობა 1000 ლარს არ აღემატება.


დაამტკიცებული დოკუმენტის თანახმად, პროგრამა გამიზნულია ახალგაზრდებისთვის, რომლებიც განსაკუთრებულ ნიჭს ავლენენ

ხელოვნების, მეცნიერების, სპორტის, მედიცინის, გამოგონებლობის და სხვა სფეროში. პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 7-დან 27 წლამდე პირებს, რომლებიც არ იღებენ სხვა სტიპენდიას ან გრანტს.

მერის სტიპენდიაზე წარდგენილი მოსწავლე ან სტუდენტი უნდა გამოირჩეოდეს მაღალი აკადემიური მოსწრებით, აქტიურად უნდა იყოს ჩართული სასკოლო თუ საუნივერსიტეტო შემოქმედებით სექციებში ან და ეროვნულ თუ საერთაშორისო ოლიმპიადებში.

მერიის გრანტი ენიჭება განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვებსა და ახალგაზრდებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავიანთი ნიჭის გამოსავლენად საჭიროებენ ერთჯერადად ფინანსურ დახმარებას.

პროგრამაში მონაწილეების წარდგენის უფლება აქვთ სასწავლო დაწესებულებებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და კავშირებს. წარმოდგენილ კანდიდატურებს ქალაქის მერიაში შექმნილი სპეციალური კომისია განიხილავს, რომლის შემაჯავებლობაშიც შედიან მერის მოადგილე, მერიის შესაბამისი სამსახურის სპეციალისტები და საკრებულოს წარმომადგენლები.



მოგზაურობა კავკასიაში

სვაპოვლუკ ჩენი

ქუთაისი-სვანეთი-მოწამეთა-გორი-უფლის-ციხე-თბილისი-კოჯორი-თეთრიწყარო-მან-გლისი-არაგვისპირეთი-ვლადიკავკასი (გაგრძელება წინა ნომრიდან)

მისი იარაღი ბამბუკის შუბი და მისრული მახვილი, მხარზე თავის განწყურვლ ციტრას გადაიდგებს ხოლმე, ვალერსება, როგორც მამა საყვარელ ქალიშვილს. ბრძანა შეემკობთ ძვირფასი მოზაიკით, მისი წვრილი სახელური კი ისე მოაწყო, რომ სურვილისამებრ მოერგო-მოეხრახნა, ასეთი ტექნიკური გაუმჯობესებით გაკვირვებული აშუალები ამბობენ, ამგვარი სახელური ქორ-ოლის გამოგონილიაო.

წიფლის უღრანტევის ახლო მიდევით, მერე ტყე უცებ მარჯვნივ დარჩა და ჩვენს თვალწინ გადაიშალა ტიტველი, ნადვლიანი ველის პეიზაჟი, მაგრამ მისი ფსკერი რაღაც განსაკუთრებული სიცოცხლით სუნთქავდა. ერთი შეხედვით მოგეგნებოდა, რომ იქ ბოშათა მშფოთვარე ბანაკი იყო, მაგრამ ქათქათა ტილოს ელვარება გამოვიყვანდათ ამ შეცდომიდან.

აქ იყო რუს ჯარისკაცთა ბანაკი. მათ ფართო შარავზე გააყვავდათ მანგლისამდგინებებითა და წერაყინებით შეიარაღებული იყვნენ, კლდოვან ფერდობებს ჭიანჭველებით შესეოდნენ.

საოცრად მაგარი სულისა და ძალის მქონეა რუსი ჯარისკაცი. მისწერებინარ და გრძობ სლაურ დროში მთელმარე ძალას. აღარ გიკვირს, როგორ მოახერხა მან მსოფლიოს შესამედში გაეღვა ფსკვი.

დაკვირვებებივარ რუსის ჯარს ამიერკავკასიაშიც. ჩექმაში ჩატანებული თეთრი ხამის შარვალი, ხამისავე ჯუბა, რომელიც ამავე დროს პერანგის მაგივრობასაც სწევს, მკიდროდ შემორტყმული ქამარი, კინკრისოზე მოგდებული თეთრი ქუდი – სულ ესაა მთელი მისი მორთულობა. საველე სამხარეულში მხადდება მისი საყვარელი კერძი – მუჟე „შნი“ – ბოსტნეულის წვნიანი შეჭამანდი. ჭიქა ჩაი ავირგვინებს მის იჯრას. ამ საზოგადოებაში არავს, რა თქმა უნდა, ძირითადი ადგილი უჭირავს. დაახლოებით ასეთია რუსი ჯარისკაცის მოთხოვნილებათა დონე. რას გახდები ასე ჩაცმულ-დახურული და ამგვარად ნაკვები ჯარისკაცი? ყველაფერს, აბსოლუტურად ყველაფერს უბრძანებ მას. წინ მაშინვე გასწვავს, გადალახავს შშავ მდინარეებს, ცაში ახიდულ მთებს, მწველსა და გადახრუკულ ტრამალებს, ნაბიჯს არ შეანელებს. დედის ღოცვა-კურთხევა შუბლზე ადბეჭდია, მკერდზე ხატი უსვენია. გამოჰყოლია თოვლით დაბურული მშობლიური ძეგური ქონხახების ხსოვნა უცხო მხარეში, რომლის სახელი ადრე არც გაუგონია უცხო ხალხში, ვისზედაც მხოლოდ უხვეულო ამბები სმენია, მიდის და არ იყურება არც მარჯვნივ და არც მარცხნივ, არხეინად მიაბიჯებს და თუ შეჩერება არ ინება, თვითონ მეფემ, ზღვაშიც ფხვდაფხვ გადაეშვება.

რუსი ჯარისკაცი შეჩვეულია მიძიმე საქმეს, არაფერს არ თაკილობს. თუ თქვენ რომელიმე აქაურ ოფიცერს ეწვევით, დანახავთ, რომ ჯარისკაცი აქ მსახურობდა, მხარეულიც და გადაიც. მისი ყველა მოვალეობის ჩამოთვლაც კი შორს წავიყვანდა. ის კემსავს ტანსაცმელს, აკერებს ჩექმებს, ეხერხება დალაქობა, ჩინობს წნავს, აბანავებს ბავშვებს, ესმარება ბატონის ასულებს სამეჯლისო მორთვა-მოკაზმვაში, ერთი სიტყვით ყველაფერია.

თუ თქვენ თბილისიდან ვლადიკავკასიამდე მოგიწით მგზავრობამ ციცაბო კლდეების გავლით, თქვენი დიდიფანსი მოულოდნელად შეჩერდება ვიწრო გზაზე, კლდეთა შუა, რომელთა ფანტასტიკურ წვეროებს ძლივს გაარჩევთ ნისლში. ქარაფიდან გამაყრუებელი

ღრიალით მოექანება ზევი და მოსორვეს ჩამოლექილი ხეები. ზატიოთა და ხრიალით ცვივა თერგის აქაფებულ ტალღებში, ერთხანს მტერის ღრუბელი და ქვიშა ფარავს ყველაფერს, ხოლო როცა გაიფანტება, ზემოთ შეამჩნევთ რუს ჯარისკაცებს, რომლებიც მშვიდად ჩასწერებიან ჩამოშვებულ უფსკრულს. ასეთივე სიმშვიდით ამ წუთში მათი ამხანაგები გზას იკვლევენ სამეგრელოს ჭაობიან ჯუნგლებში, კოლონისა და მალარიის ბუდეში. ისინი მიაბიჯებენ ციმბირის თოვლსა თუ შუა აზიის ველური უდაბნოს ცხელ ქვიშაში, სადაც სისხლ-მოწყურებული თურქები დღისით თუ ღამით თავს ესხმის მათ შეთხელებულ რიგებს. ყოველივე ამას რუსი ჯარისკაცი აკეთებს უდრტინველად და რასაკვირველია, ყოფილიწინების გარეშე.

ამასთანავე მისთვის უცხოა სამხედრო კასტის პატივმოყვარეობა, ბაზარზე შეგიძლიათ ნახოთ ჯარისკაცები, რომლებიც მშვიდად გათქვეფილან ხალხში, არხეინად პყიდიან პირად ნივთებს, ჩექმებს, ლაბადას ან საკუთარი ხელით გამოჭრილ ხის ლამაზ საყვირს.

თავქვე დავეშით კარვების სოფლისაკენ, სადაც შემოგვეგება გულდია სტუმართმოყვარე ახალგაზრდა ოფიცერი. ჩემი მოკეთის ნაცნობი აღმოჩნდა. შევევით სასტუმრო ოთახში, ეს იყო ოთხ ბოძზე დაყრდნობილი, უკვე გამხმარფოთლებიანი ტოტებით დახლართული სახურავი. წინა მხარე ფარდალადა ჰქონდა, ხოლო უკან ფიცრულს იქით მოჩანდა კარავი, რომელიც იმავედროულად საწოლი ოთახიც იყო. სოხანეზე იდგა ჭილობგადაფარებული რკინის საწოლი, რომლის თავზე ქალიშვილის პორტრეტი ეკიდა. კუთხეში სამხედრო ნივთებით დახუნძლული კანხა იდგა. სულ ეს გახლდათ უცოლო კაცის მწირი ქონება.

ამ დროს ჯარისკაცმა სპილენძის ქვაბებით „შნი“ ბიფშტექსი მოიტანა. სულ ამოდ ვიყოყმანეთ, იძულებული გავხდით გაგვეყო ოფიცრის სადილი. ორიოდე ჭიქა არაყიც გაჩნდა, ხელად დავცალეთ ჩვენსა და თქვენს სადღეგრძელოდ, უამისობა რუსეთში არ იქნება.

ჩვენი მასპინძელი გაბადრული იჯდა, ეტყობოდა, გულწრფელად გაახარა ჩვენმა მისვლამ, ის ხომ იშვიათად ხვდება ვინმეს, ვისთანაც გააბამს მასლაათს და იმსჯელებს იმ სამყაროზე, რომელსაც ხანგრძლივად მოწვევტილია. ახლა მის თვალწინ გადაშლილა კოჯორის მშვენიერი ხედი დანგრეული ქორ-ოლის ციხითურთ. მაგრამ როგორც კი ამ მონაკვეთს მორჩებიან, კარვების სოფელიც დაიძვრება და გადაინაცვლებს სადღაც შორს, მივიწყებულ მხარეში, სადაც მთები და ტყეები ფარავენ მთელ სამყაროს და სადაც ჩვენი ოფიცერი სულ მარტო დარჩება თავის ჯარისკაცებთან უტყვი ბუნების ან უკარება თათრების გარემოცვაში და ვინ იცის, როდემდე გაგრძელდება მომთაბარე ცხოვრება.

დავემშვიდობეთ კეთილ ოფიცერს და ჭენებით აუწყევით ზევით კლდოვანი ხეობის გადმა მხარეს, მალე თვალს მოეფარა რუსი ჯარისკაცების საბუდარი და შემდეგ პორი-ზონტიდან გაქრა მომდერალი ავაზაკის ციხეც, არემარეს უდაბურობა აშკარად ეტყობოდა. აღაგაღავ მოჩანდა მიწური ბანიანი სახლები. ისინი მორცხვად მიუყუულიყვნენ უსურვაზითა და სვით დაბურული ხეების ტვერში.

ამ მიდამოებში დიდი ხნის მგზავრობის შემდეგ ჩემზე ნამდვილად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა სოფელმა „რუსული თავშესაფარი“. აქ მოულოდნელად აღმოჩნდით, ნაირფერი ღობეების მიღმა მეტისმეტად კეთილად შემოგვეყურებდნენ სუფთა, ქათქათა სახლების ფაქიხად შედგობილი ფანჯრის ჩარჩოები. სახლის გარშემო პატარა ბაღები გაუშენებიათ. პატარა-მთქი, ზომით ვამბობ, თორემ ყვავილთა

მრავალფეროვნებით მდიდრულ პარკებსაც არ ჩამოუვარდებოდა. მათ შორის თავს იწონებდნენ ყვითელი, თეთრი და წითელი ვარდები. დიდებული ყვავილები ბუნებრივს არც კი წააგავდნენ. ღობეს ირგვლივ ველუბოდა ხვიარა მცენარეთა ჩუქურთმა, ხის ღობე ძლივს იმაგრებდა ამ საუცხოო მწვანე სამოსელს.

ისევე კეთილად, როგორც ეს სახლები, შემოგვეყურებდნენ მობინადრებიც. ბინადარი რუსი მოსახლეობა ამიერკავკასიაში ძირითადად შედგება მართლმადიდებლური ეკლესიის სექტანტებისაგან. ამ სექტების უმეტესობა, რომლებიც ექსცენტრიულობისაკენ იხრებოდნენ, რუსეთის მთავრობამ გადმორგვა ამ შორეულ მხარეში, რითაც ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლა. სახალხო საქმეს ჩამოაშორა გამოიშველობის ჭირი და ახალშემოერთებულ მხარეში კოლონისტებიც გაიჩინა. კოლონისტების დიდი ნაწილი კარგი ხალხი გამოდგა, მიუხედავად უცნაური და განსხვავებული რელიგიური შეხედულებისა.

მათ შორის ამაზრზენია „სკოპების“ სექტა, ამ ბენაგებს რელიგიური სიშმაგის წყალობით საკუთარი სხეული მსგავსი ხატებისა უფლისა საშინელ კარიკატურად უქცევიათ. ალბათ, რამდენიმე ათეული თვითგამოსატყურისებული მაინც მინახავს და ყველას აშკარად ეტყობოდა კვალი ყბადაღებული ოპერაციისა, რომელსაც, სამწუხაროდ, გაუთქვა სახელი ორიგენემ ჭეშმარიტად საშინელი მეთოდებით. ისინი გახლდნენ გაძვალტყავებული, გაყვითლებული, თვალბეგამოღამებული, უფერულ ბაგეზე დიმილშეყინული არსებანი.

ამ საჭურისებს რუსეთის მთავრობა მასიურად ასახლებდა ამიერკავკასიის დახაშმულ, მაგრამ საოცრად ლამაზ ადგილებში. შავ ზღვასთან – ფოთის მახლობლად, ჯუნგლების მწვანე, ნესტიან გაჯერებულ ბინდუნდში, შეგიძლიათ ნახოთ მუმიასავით გამოშშრალი მოჩვენებები, უცნაურად რომ გამოიყურებიან იქაური მშვენიერი ბუნების ფონზე. აქ მათ სისხლს უშრობს კოლო და მუსრს ავლებს მალარია, თითქოს ისჯებიანო წმიდათაწმინდა კანონის წინააღმდეგ ამხედრებისათვის.

ამ სინელეთა მიუხედავად კოლონისტები ახალ ადგილას ჩინებულად მოეწყვენ. ბევრი მათგანი გამყიდრდა კიდევ. სექტანტები შრომისმოყვარენი, წესრიგიანი და წაწვერაქები არიან.

საინტერესოა „ტუნიათა“, ანუ „მეშაბათეთა“ სექტა. ეს სახელი იმიტომ დაერქვათ, რომ ამ სექტის წევრები იკრიბებიან პარასკევს საღამოს შაბათამდე თავიანთებურ წირვაზე, რომლის ძირითადი ნაწილია სადგოლო ცეკვა. ისინი როკავენ რჯულის კარვის წინ მროკავი მეფე დავითის მიბაძვით. ჯერ ფსალმუნს მღერიან, შემდეგ მამაკაცები და ქალიშვილები ერთმანეთს ჩაკიდებენ მარცხენა ხელს, მარჯვენა თავისუფალი უნდა იყოს, რათა ცეკვის დროს აიყვანონ ისინი. ცეკვის ეს ილეთი მათთვის ვიდაც კომარს უსწავლებია. მანამ თითოეული ასე დააბოტებდა, როგორც იცოდა და ეხერხებოდა როკავენ ქანცისგაწვევტამდე. მერე კი გულწასულები ცვივიან იატაკზე, ძირს გართხმულები ძიგძიგით იხლართებიან ერთმანეთში. ამბობენ, სულმა ჩაისადგურა სხეულშიო. ზოგს დუჟი მოადგება და თვალბებს შლეგივით აბრიალებს, როცა მოსულიერდებიან, რომავენ რაც კი ენაზე მოადგებათ. რაც მეტად სისულელეს იტყვიან, მით უკეთესი, დანარჩენები სასოებით უსმენენ „სულს“, რომელიც რჩეულის ბაგეებით დადებენ, მთავარ წრეში მხოლოდ მამაკაცები და ქალიშვილები ცეკვავენ, მოხუც ქალებს განზე გაუბამთ ფერხული.

თარგმანი ალ. კაპულიასი (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გოგი თოფაძისეულ 526 სამხედრო მოსამსახურე-ამომრჩეველსა და ლევან ბერძენიშვილისეულ საწუხარზე

ყავის ლექი ნეპოტიზმის ბზარით, კაკაბელთა რძალი, მხედართმთავრის ძალით, რისხვითა და ზარით, იმეორებს მანევრს, ბონაპარტეს მანევრს, კუტუზოვის მანევრს, სუფოროვის მანევრს... სად ისწავლა მან ეს? ნუ ვაწუხებთ მანეს, მალე ვინ რას დაკანკალებს, თუკი თავი დურთა საარჩევნო ყუთთან?! * * * აქ შეგწვიტოთ ლექსი, რადგან ყავის ლექსში, ატივტივდა „ექსი“ ხუთას ოცდაექვსით!

ლევან ბერძენიშვილს ცოდვის დამაღვას ცდილობ, ეტყობა, და იკბინები ამის იმედად, თოფაძეს ებრძვი, მაგრამ გვეტყვოდი, რა გააკავშირებს ივერიელთან? ალექსანდრე შენბელია

ბატონო რედაქტორო, ჩემო რწოლანდ! ამ სათრეველებთან ერთად გიგზავნი ე. მანეს „ანჟანტის“ პერსონაჟთა რეპროდუქციას, რომელსაც დასტურ რომ დაამშვენებდა ხიდაშელისა და თოფაძის თავები, სავარაუდო წარწერითურთ: „კისრების მიერ „ნაკისრი“ ჩვენებურთა თავები“ ალექსანდრე შენბელია





საქართველოში შეიქმნა გლობალი აფხაზური ენის შესწავლის მსურველთა

აფხაზური ენის შესწავლის მსურველთათვის ბლოგი შეიქმნა, რომლის მიზანია თავი მოუყაროს აფხაზური ენის თანამედროვე სასწავლო მასალებს და ფხაზური ენის სწავლით დაინტერესებულ ადამიანებს. ბლოგი შექმნა თამარ გითოლენდიამ, ფილოლოგიის დოქტორმა. „ლაივბრეისი“ გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

„ლაივბრეისი“: რატომ გადაწყვიტეთ შექმნათ ბლოგი აფხაზოლოგიის სიახლეების შესახებ?

თამარ გითოლენდია: 2008 წლიდან ვმუშაობ აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 2008 წლიდან დღემდე განვახორციელებთ სამეცნიერო პროექტებს. ვარ ადრეული აფხაზოლოგიური ნაშრომის რედაქტორი, საგამომცემლო ჯგუფის წევრი და აფხაზეთის თემატიკაზე დამუშავებული პროექტების მონაწილე. ავტორი და ორგანიზატორი. აფხაზურ ენას ესწავლებოდა 7 სემესტრის განმავლობაში, ჩემი სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები ქართულ და აფხაზურ ენობრივ პარალელურ ედუკაციას. დამიბრუნდა გამოცდილება, მასალები, სტატიები და მინდობა ისინი სხვებისთვისაც გამეზიარებინა. ასევე, ბლოგის შექმნის ერთ-ერთი მიზანი იყო აფხაზური ენისა და კულტურის პოპულარიზაცია.

„ლაივბრეისი“: რას შეიძლება მკითხველი თქვენი ბლოგის საშუალებით გაეცნოს?

თამარ გითოლენდია: ბლოგის საშუალებით მკითხველს შეუძლია გაეცნოს საავტორო კვლევებს. ვისარგებლებ შემთხვევით და აღვნიშნავ, რომ ჩემი ორი სტატია საფუძვლად დაედო ორ სატელევიზო გადაცემას და ერთ რადიოგადაცემას. ბლოგი მკითხველს აძლევს საშუალებას, გაეცნოს აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის საქმიანობას. მისი მეშვეობით ინსტიტუტში განხორციელებული პროექტები და კვლევები ბევრი ადამიანისთვის ხდება ცნობილი და ხელმისაწვდომი.

ბლოგზე ასევე განთავსებულია უახლესი და ძველი სამეცნიერო ნაშრომებისა და სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები, რომლებიც შეიძლება დასჭირდეთ აფხაზური ფილოლოგიის სპეციალისტების სტუდენტებს. მოგესხებათ, ბოლო წლებში სამეცნიერო ლიტერატურა მცირე ტირაჟით იბეჭდებოდა და ძირითადად განუქუთვით ვრცელდებოდა. რის გამოც წიგნი ვერ მიდის ყველა დაინტერესებულ ადამიანამდე. ამიტომ ბლოგზე არის ელექტრონული წიგნების

განყოფილება, საიდანაც შესაძლებელია წიგნების უფასოდ გადმოწერა. ბლოგზე ასევე განთავსებულია აფხაზური ენის აუდიოგადაცემები.

„ლაივბრეისი“: ბლოგის თავფურცელში აღნიშნულია, რომ დღეს საქართველოში არ არსებობს აფხაზური ენის შესწავლის მსურველთათვის მუდმივმოქმედი კურსები. ეს იმ პირობებში, როცა აფხაზური მეორე სახელმწიფო ენაა. როგორ ფიქრობთ, უნდა იყოს თუ არა სახელმწიფოსთვის პრიორიტეტი, აფხაზური, როგორც სახელმწიფო ენა, და მისი საფუძვლები ისწავლებოდეს ქვეყნის მასშტაბით მოქმედა სკოლაში? ან რაში და როგორ უნდა გამოხატოს ეს პრიორიტეტულობა, გარდა იმისა, რომ მეორე სახელმწიფო ენად არის გამოცხადებული?

თამარ გითოლენდია: დღესდღეობით აფხაზური ენის მუდმივმოქმედი თავისუფალი კურსები სამწუხაროდ, არ არსებობს. ჩვენს უნივერსიტეტში მოქმედებს აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, სადაც სწავლა შეუძლიათ მხოლოდ ამ უნივერსიტეტის პუბლიცისტულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს. ხშირად მოგვდის წერილები, გვირეკავენ და აინტერესებთ, არსებობს თუ არა აფხაზური ენის კურსები თავისუფალი მსწავლელებისთვის. რადგან ასეთი რამ ჯერჯერობით არ არსებობს, თავი მოვუყარე აფხაზური ენის თანამედროვე სასწავლო რესურსებს და გადავრთინე ერთ ბლოგში. ვისაც ამ ენაში გარკვევის ძალიან დიდი სურვილი აქვს, დამოუკიდებლად გაართმევთ თავს ამას. ეს არის ერთადერთი საშუალება, რაც შეგვიძლია შევთავაზოთ აფხაზური ენის შესწავლის მსურველებს. თავისუფალი კურსების შექმნა მოითხოვს დაფინანსებას და ადამიანურ რესურსებს, რაც ამ ეტაპზე ვერ ხერხდება, თუმცა მოთხოვნა დიდია.

აფხაზური კონსტიტუციურად მეორე სახელმწიფო ენაა აფხაზეთის ტერიტორიაზე. რა თქმა უნდა, აფხაზურ ენაზე ზრუნვა სახელმწიფოს პრიორიტეტი უნდა იყოს. კონსტიტუციიდან გამომდინარე, აფხაზური ენა უნდა ისწავლებოდეს მარტივ, საკომუნიკაციო დონეზე აფხაზეთის არ. ყველა სკოლაში თუ არა, ზოგიერთში მაინც.

„ლაივბრეისი“: რამდენად არის დღეს საქართველოში მოთხოვნა აფხაზური ენის შესწავლაზე? არსებობს თუ არა ამ კუთხით რაიმე მონაცემი?

თამარ გითოლენდია: ამ ეტაპზე აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პრო-

გრამაზე სწავლობს 7 სტუდენტი. ოთხმა უკვე დაამთავრა უნივერსიტეტი ამ პროფესიით. გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ინტერესი დიდია საზოგადოების მხრიდან, მაგრამ თავისუფალი კურსების მსურველთა ძირითად ნაწილს წარმოადგენენ ადამიანები, რომლებიც უნივერსიტეტის პუბლიცისტულ ფაკულტეტის სტუდენტები არ არიან, ამდენად მათ ენის ლექციებზე დასწრების შესაძლებლობა არა აქვთ.

„ლაივბრეისი“: ვის უკავშირდებიან ეს ადამიანები? არის თუ არა ქვეყანაში შესაბამისი ადამიანური რესურსი, ვგულისხმობ აფხაზური ენის მცოდნეებს.

თამარ გითოლენდია: აფხაზური ენის მცოდნეები ცოტანი არიან და რაც შეუძლიათ, ყველაფერს აკეთებენ. ზოგი მთარგმნელობით საქმიანობას ეწევა, ზოგი – სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას. იმდენი რესურსი ნამდვილად არის, რომ შეიქმნას სასკოლო სახელმძღვანელოები, მომზადდეს მასწავლებლები, რომლებიც შეძლებს სკოლაში შესწავლიან მარტივ დონეზე მაინც აფხაზურ ენას.

„ლაივბრეისი“: ითანამშრომლეთ თუ არა თქვენს აფხაზ კოლეგებთან ამ ბლოგის შედგენისას, ან მომავალში თუ აპირებთ თანამშრომლობას? როგორ წარმოგიდგინათ ეს თანამშრომლობა?

თამარ გითოლენდია: ბლოგის შექმნისას არ მითანამშრომლია აფხაზ კოლეგებთან. ჩემი ბლოგის კონტენტი საავტორო სტატიები და აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის გამოცემები და სასწავლო მასალებია. სიამოვნებით ვითანამშრომლებდი აფხაზ კოლეგებთან. ძალიან მაინტერესებს აფხაზეთში მიმდინარე კულტურული პროცესები, ასევე მაქვს სხვა იდეებიც, რომლებსაც ახლა არ დავაკონკრეტებ, მაგრამ იმედოვნებ, შევძლებ მათ განხორციელებას.

„ლაივბრეისი“: საქართველოს მასშტაბით რამდენად არიან წიგნის მალაჩიები, ბიბლიოთეკები უზრუნველყოფილი იმ მასალებით, რაც დაინტერესებულ მოქალაქეებს მისცემს საშუალებას, გაეცნოს აფხაზოლოგიის საფუძვლებს, იმ საკითხებს, რაზეც აპირებთ, რომ თქვენი ბლოგი იყოს ორიენტირებული?

თამარ გითოლენდია: აფხაზოლოგიური ნაშრომები ხელმისაწვდომია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში და ასევე რამდენიმე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში. არ მეუფლება მალაჩიები, სადაც აფხაზოლოგიური ნაშრომები იყიდ-

ბოდეს, ან დიდი არჩევანი იყოს. პროფესორ გვანცელაძის მიერ შედგენილი ქართულ-აფხაზური და აფხაზურ-ქართული ლექსიკონები იყიდება გამომცემლობა „ინტელექტის“ მალაჩიაში.

აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო და სასწავლო გამოცემები ძირითადად ორგანიზაციების დაფინანსებით იბეჭდება, ამიტომ არ იყიდება და განუქუთვით ვრცელდება. გავიმეორებ, ამ სახის წიგნების ბეჭდური ვერსიები ხელმისაწვდომია რამდენიმე ბიბლიოთეკაში, ხოლო ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია ინტერნეტში. ის, რაც აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტში კეთდება, ეს საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, აფხაზეთის მთავრობის დახმარებით და ძირითადად ინსტიტუტის თანამშრომელთა ერთობლივ ძალად.

„ლაივბრეისი“: რას ურჩევდით მოქალაქეს, რომელმაც მხოლოდ ახლა გადაწყვიტა შეისწავლოს აფხაზური ენა? საიდან უნდა დაიწყო მან სწავლის პროცესი?

თამარ გითოლენდია: პირველ რიგში, გაეცანი პროფესორ გვანცელაძის სახელმძღვანელო „აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის“ (I ტომი), რომლის ტექსტი ბლოგზეც გავლევს. ეს წიგნი დაგეხმარებათ აფხაზური ენის თავისებურებებში გარკვევაში. პირველი ტომი შედგება ქართულ ენაზე დაწერილი აფხაზური ენის მოკლე გრამატიკული ნარკვევის და აფხაზურ-ქართული ლექსიკონისაგან. წიგნში მოცემულია აფხაზური ენის გრამატიკული მიმოხილვა, რთული ლინგვისტური საკითხები შედარებით მარტივი ტერმინოლოგიით არის გაშუქებული. შემდეგ შეგიძლიათ გადახვიდეთ აფხაზური ენის ინტერპიურ აუდიოკურსზე „ვისწავლოთ აფხაზური ენა“ (2013 წ.). ამ რესურსის მეშვეობით ვიზუალურად და განხილვით გაეცნობით აფხაზური ენის ანბანს, ახალ სიტყვებს, ფრაზებს. აუდიოკურსი შედგება 200-ზე მეტი ლექსიკური ერთეულისგან. პარალელურად შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ ქართულ-აფხაზური სასაუბროთი. იგი განკუთვნილია ყველასთვის, ვინც ფლობს ქართულ ენას და აქვს სურვილი, ისაუბროს აფხაზურად. სასაუბროთი სარგებლობისას არ არის აუცილებელი აფხაზური ენისა და სპეციალური ფონეტიკური ნიშნების ცოდნა. აფხაზური სიტყვების მიახლოებით გამოთქმა მოცემულია ქართული ასოებით. მისი მეშვეობით შეისწავლით საკომუნიკაციო ფრაზებს

ინეს თოლორავა

დავით შერაბე: კატეგორიულად ვითხოვ ბამოკიების დაწყებას თამარ სანიკიძის წინააღმდეგ!

საქართველოს მთავარ პროკურორს ირაკლი შოთაძეს ასლები: ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციას დიკლომატიურ კორპუსს



პირდაპირ და დიად ვდებ ბრალს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ამჟამინდელ მინისტრს თამარ სანიკიძეს ჩემს დევნაში, დისკრიმინაციაში, ჯანმრთელობის ხელ-ყოფასა და სიცოცხლის ხელყოფის მცდელობაში, მიყურადებამ, ჩემი ოჯახის წევრების საარსებო შემოსავლის გარეშე დატოვებაში და ამით მთლიანი ოჯახისთვის ფიზიკური განადგურების საშიშროების, მათ შორის ჩემი მცირეწლოვანი შვილების სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნაში!

ძალადობის ორგანიზებასა და წაქეზებაში, მათ დაშინაჯებაში, შეურაცხყოფაში, ჩემი ნათესავების იძულებაში – გადასულიყვენ სხვა სკოლაში სასწავლებლად.

აქედან გამომდინარე, კატეგორიულად მოვითხოვ, რომ დაიწყოთ გამოძიება:

- 1. დაიკითხონ და კანონის მთელი სიმკაცრით პასუხისმგებლობა დაეკისროთ თამარ სანიკიძეს – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, (როგორც ხსენებულ დანაშაულების ორგანიზატორსა და დამგებავს);
- 2. ალექსანდრე ონოფრიშვილს – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსს, როგორც სანიკიძის დანაშაულებრივი განკარგულების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირს;
- 3. ნანა ლაჭავას – თბილისის 116-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, როგორც დანაშაულებრივი განკარგულების უშუალო შემსრულებელსა და მონაწილეს.

თანამონაწილენი და დაწვერათ ჩემი საწინააღმდეგო ცრუ წერილები, ან ემოქმედათ ჩემს წინააღმდეგ. აღნიშნულ პირებს დავასახელებ ჩვენების ჩამორთმევის დროს.

გამოძიების დაწყების დროს დავასახელებ ასევე ფაქტებს, რომლის საფუძველზეც ვაყენებ თამარ სანიკიძისა და სხვა პირების ბრალულობის საკითხს.

დანაშაულებრივ ქმედებები ხორციელდებოდა 116-ე საჯარო სკოლაში ჩემი მასწავლებლად მუშაობის დროს, გათავისუფლების პროცესში და ამჟამადაც. პოლიტიკური დევნის მასშტაბებმა სასამართლო შტომდეც მიაღწია.

მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ სამსახურიდან ჩემი უკანონო გათავისუფლების საქმის განხილვა თამარ სანიკიძის ჩარევით დაეკისრა მოსამართლეს, რომელიც მოპასუხე მხარის ინტერესს იცავს.

ესაა სახელმწიფოს ბრძოლა ერთი კონკრეტული ადამიანის, ერთი პედაგოგისა და მისი ოჯახის წინააღმდეგ. ბიუროკრატიის თავდასხმებით მე და ჩემ ოჯახი ვიმყოფებით ურთულეს სიტუაციაში და ქვეყნის იძულებით დატოვების აუცილებლობის წინაშე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ კატეგორიულად ვითხოვ გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყებას.

პატივისცემით, დავით შერაბე, პედაგოგი, პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი კომენტარი: სექტემბრიდან სკოლაში დაიწყო შეტევა ჩემი შვილების გადასახვარებლად! „ახალი სავალდებულო საგნების“ მე

და საზოგადოება“ და „ჩემი საქართველო“-ს მიზანი იქნება დაწყებით კლასებში, 7-13 წლამდე ბავშვების, ერთი მხრივ, ბილწი და უსაშინლესი მამათმავლური ცნობიერებით მოწამვლა, გარყვნა და, მეორეს მხრივ, მათი სარწმუნოებრივ-ეროვნული ცნობიერების გადაგვარება და აღრევა.

საქართველოს პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა ერთი ხელით საქართველოს კონსტიტუციაში შეიტანა ცვლილება, რომლის მიხედვით ოჯახი არის ქალისა და კაცის ერთობა, რითაც ბოლო მოუღო სპეკულაციას ერთსქესიანთა ქორწინების შემოღების თაობაზე, მეორე ხელით კი მხარი დაუჭირა თამარ სანიკიძეს სკოლებში ბავშვთა გონების მომწამლველი მამათმავლობის საწყისების სწავლების შემოღებას!

ქვემოთ დოკუმენტურად გთავაზობთ ამ განზრახვის შემზარავ მაგალითებს. „მოქმედებაზე გადასვლა დაუკავშირდით თქვენს ქვეყანაში არსებულ ჰომოსექსუალობის ან ლესბოსელების საზოგადოებას. მათ შესახებ ინფორმაციის მოპოვება მოქმედებაზე გადასვლის ერთ-ერთი ეზაა. მოიწვიეთ მათი წარმომადგენელი ჯგუფთან სასაუბროდ, რათა გაარკვიოთ, რომელი საკითხები და უფლებებია ყველაზე მწვავე თქვენს ქვეყანაში.“ (გვ. 189).

• გენდერი წარმოადგენს ერთ დღეს სხვა სქესის წარმომადგენელი გახდით. რისი შეცვლა მოგიწევდათ? პირველ რიგში, ალბათ, თქვენს გარეგნობას შეცვლიდით – ტანისამოსს, ვარცხნილობას და, შესაძლოა, სამკაულს. შესაძლოა, აგრეთვე ადამიანებთან ქცევის მანერის შეცვლაც მოგიწიოთ.“ (გვ. 105)... და ა. შ.”

ლია რუსიაშვილი

მცხეთა – მეორე იერუსალიმი და „ახალი ისრაელის“ დედაქალაქი

ანუ საქართველოს უძველესი სამეფო ქალაქის – მცხეთის პროექტების: „მცხეთა-იერუსალიმისა“ და „გეთსიმანის ბაღის“ ანალიზისა და შეფასებისათვის მოხსენება, რომელიც წაითხუღი იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „ერთიანი პრობლემების აკადემიური კომისიის“ 2015 წლის 12 ოქტომბრის სხდომაზე.

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

პოლიტიკურ წრეებში ეს დროშა „მიწას დროშად“ ხდება ცნობილი, ხოლო მისი ნამდვილი მნიშვნელობა და საქართველოს ტრადიციული შინდისფერი დროშის შეცვლის მიზანი რჩება აუხსნელი და გაურკვეველი. ფაქტობრივად, ფარულად, ხალხის თვალბრუნებით ნაცრის შეკრებით, საქართველოს სახელმწიფო დროშად ცხადდება იერუსალიმის სამეფოს ისტორიულ დროშად ცნობილი და შემდგომ ე. წ. „ტამპლიერთა“, ანუ აზრობრივად ებრაელთა მეფის – სოლომონის „ტამპლთა“ დროშად აღიარებული ხუთჯვრიანი დროშა. ამ დროშის საქართველოს სახელმწიფო დროშად გამოცხადების იურიდიული კანონიერების, ანუ უკანონობის საგანგებო მკვლევარის, სამართლის დოქტორის, ბნ ავთანდილ კახიანიშვილის წერილების მეშვეობით, დაგვიანებულ ყურადღებას ვაკვირობთ უმნიშვნელოვანეს ფაქტს, რომ 1997 წელს, გახეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილში, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, და საკმაოდ განათლებული პოლიტიკოსი ბნი აკაკი ბაქრაძე სვამს გაოგნებულ შეკითხვას და ქართველ მეცნიერებს ავალებს, გაარკვიონ, რატომ სთავაზობს არსებული ხელისუფლება ქართველ ხალხს ახალ სახელმწიფო დროშად, პერალდიკის ისტორიაში კარგად ცნობილს, როგორც იერუსალიმის სამეფოს ისტორიულ დროშას?! საქართველოს ეკლესია ამ დროშას საკუთარ ინტერპრეტაციას უძებნის: ხუთ ჯვარს ქრისტეს ხუთი კვლიობის მნიშვნელობას ანიჭებს და ეკლესიურ სივრცეშიც აკანონებს. იგი მუდმივად არის გამოფენილი წმ. სამების საკათედრო ტაძარში წმ. ნინოს ჯვრიან დროშასთან და მართლმადიდებლურ ხატებთან ერთად. „ეკლესია ქრისტეს გარეშე“ – ასეთი თანამედროვე ევროპის მანერული დევიზი! – გვითხრა თბილისში ჩამოსულმა ერთერთმა სტუმარმა ვატიკანიდან, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გამართულ შეხვედრაზე. სწორედ ამ დევიზის განხორციელებად გვესახება მთელ ქართულ ეკლესიურ იკონოგრაფიაში, მათ შორის თვით წმინდა სამების საკათედრო ტაძარში, ასევე, საქართველოს პატრიარქის კურთხევი, „საქართველოს იმედის“ სახელწოდებით შექმნილ ახალ მონუმენტურ ხატში, რომელიც წმ. სამების საკათედრო ტაძარშია დაბრძანებული, წმინდა სამების ტრადიციულ იკონოგრაფიულ კომპოზიციაში: მამა დემეტრის, იესო ქრისტეს, მარჯვენით მამისა, და სულიწმინდის გამომხატველი მტრედის გამოსახულების მასიური შეცვლა, ქართული ეკლესიის მთელ სივრცეში, ძველი ალექსიანული სამი ჭაბუკის კომპოზიციით, როგორც ამსახველისა – წმინდა სამების. საქართველოს საპატრიარქოსთან იქმნება სრულიად საქართველოს ახალგაზრდობის მოძრაობა: „დავითიანნი“, რომელიც საქართველოს ახალგაზრდობას შთააგონებს ორი დავითის: დავით ებრაელთა მეფისა და დავით ქართველთა მეფის – აღმაშენებლის მექვიდრეებად ყოფნას. საქართველოს მონარქისტულ მოძრაობას სათავეში ჩაუდგება ქართული ეკლესია, რომელიც ჰქმნის ორი დავითის კანონიკურ ხატს და ქართველი ერის ტრადიციულ შეგნებისა და ქართული მეცნიერული აზრის საპირისპირო გაგებას ქართველ ბაგრატიონთა ებრაული წარმომავლობისას. საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალურ კონსულტანტად მონარქიის საკითხებში თავს აცხადებს გაურკვეველი უფლებამოსილების პიროვნება, ბნი გაიოზ მამალაძე. 2007 წლიდან საჯაროდ გაცხადებული ხდება საქართველოს ეკლესიის პოზიცია, როგორც ძალაში მყოფი ეკლესიურ-იდეოლოგიური მიმართულება საქართველოს მეფისა და საქართველოს პატრიარქის პარმონიული

მმართველობის კონსტიტუციური მონარქიის მოდელით. ე.წ. ლეგიტიმური უფლისწულის შესაქმნელად, უშუალოდ საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით იმართება დროებითი ხელისუფალი ქორწილი, ეკლესიის მოხონებით კანონიერი მეფე-ლისაგან გაყრილი ანა ბაგრატიონისა ესპანეთიდან ჩამოყვანილ დავით ბაგრატიონზე, და სვეტიცხოვლის ტაძარში სრულდება ამ ხელისუფალი ქორწინებით შობილის ნათლობა, როგორც საქართველოს მომავალი უფლისწულის... ნათლია, ცნობილი მილიონერი, ბნი ლევან ვასაძე საქართველოს ბიზნესგაზეთის ინგლისური ვერსიით გვაუწყებს, რომ „საქართველოში მონარქიის აღდგენა დიდ ფულს შემოიტანს“. საქართველოში ფუნდება ქართველ „სოლომონის ტამპლთა“, იგივე ქართველ „ტამპლიერთა“, როგორც ღირსეულ „დავითიანთა“ ორდენი. დაეკვირდეთ! „სოლომონის ტამპლთა“ – „ტამპლიერები“ უიგივებიან ქართველ „დავითიანებს“ – დავით ებრაელთა მეფისა და დავით ქართველთა მეფის ერთიან შთამომავლებს. ამგვარი პოზიციით საქართველოს ეკლესია გვერდს უვლის და არ ცნობს ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის „დავითიანი“-ს გაგების უთავრეს და უპირველეს ისტორიულ წყაროს, ამასთან ეკლესიის დიდთა მამათაგან მოღვაწე: გიორგი მერნულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ (952 წ.), რომელშიც ქართული ეკლესიის დიდი მამების: გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერნულეს მიერ სრულიად გარკვევით არის ნათქვამი, რომ საქართველოს ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელი მეფე წოდებულია დავითის შვილად, ანუ დარქმული აქვს, მინიჭებული აქვს ეს წოდება დავითის შვილობისა: შვილად წოდებულია, და არა – შთამომავლობითი „შვილი“! – დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებული ხელმწიფო“ – ასე მიმართავს გიორგი მერნულეს გადმოცემით ეკლესიის დიდი ქართველი მამა – გრიგოლ ხანძთელი – საქართველოს მეფეს – აშოტ კურაპალატს. რუსული თარგმანით: – Давида пророка и Господня помазанника сыном названный Государе Царство и добродетели его да даст тебе Христос Бог! (Преподобный Григорий Мерчуле: „Житие Святого Григола Хандзтели“ (IX В.), Перевод с древнегрузинского протоиерея Иосифа Зетеишвили, Москва, 2008, ст. 72). საინტერესო და მნიშვნელოვანია ამავე ციტატის კორნელი კეკელიძისეული, როგორც ყოფილი საეკლესიო მოღვაწისა და სასულიერო პირისეული თარგმანი, რომელიც ნიკო მარსაძემ მიცემულ შენიშვნას წარმოადგენს და ხაზს უსვამს ბაგრატიონთა „დავითიანობის“ სწორედ წოდებობის გაგებას, რომლის აღმნიშვნელი სიტყვის გამოტოვებაც ამავე ციტატის რუსულ თარგმანში დაუშვებელია: „Властитель, нареченный сыном Давида пророка и помазанника божья, Христос бог да даст тебе царство и добродетели его...“ (კორნელი კეკელიძე, „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. 1, თბ. 1980 წ. გვ. 154). მოგეხსენებათ, თუ არსებობს წოდება და წოდებული (Названный, Нареченный), უნდა არსებობდეს მწოდებელიც და უნდა არსებობდეს საუთუველიც და ახსნაც ამ წოდებულობისა: ვინ უწოდა და რატომ უწოდა და რატომ იწოდა საქართველოს მეფე „დავითიანად“? დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც ქართველ ბაგრატიონთა „დავითიანობას“ ჩვენს მიერ ხუმთ ხმობილი ციტატის კონტექსტში განმარტავს, „დავითიანობას“ წარმოგვიდგენს, როგორც ისეთივე საგნაპო ტიტულს ქართველი მეფეებისას, როგორც იყო „ულუმბიანობა“ – მისაბაძად ბიზანტიის იმპერატორებისა, როგორც იყო „აგუსტიანობა“ – მისაბაძად რომის იმპერატორებისა, როგორც იყო „მარვანობა“ და „შაჰანობა“ – მისაბაძად აღმოსავლეთის ხელმწიფეთა, ამასთან როგორც წოდებანი უკვე იმ დროისა, როდესაც საქართველოს მეფენი თვითონ აღწევენ მეზობელი აღმოსავლეთის ქვეყნების საქართველოს ქვეშევრდომებად მოქცევას: „იმდროინდელი მოძღვრების თანახმად, – წერს ივანე ჯავახიშვილი – საქართველოს ბატონებს, მასადაამე, ორი სამეფო სახლის დიდება

ჰქონათ დამკვიდრებული: ჯერ ერთი ებრაელთა მეფის – დავითის სახელი ეკუთვნოდათ „ულუმბიანობით“ (რომელიც საზოგადოდ ქრისტიან ბიზანტიის მეფეთა დიდების გამოხატველი ტერმინი იყო ფილიყო), შემდეგ ხუასროვანთა სპარსელი მეფეების პატივი ეპურათ „მარვანდობით“... (იხ. ივანე ჯავახიშვილი: „ქართული სამართლის ისტორია“, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, ტფილისი, 1929 წელი). ამ აზრის ნათელსაყოფად ივანე ჯავახიშვილის მოაქვს ციტატი თამარ მეფის ისტორიკოსისაგან დეოფილის ქორწინებაზე თქმული: „ვიტარ იყო ხუედრი და რიგი ულუმბიანობისა და მარვანდობისა მათისა, 6 ვერეთ იქნა ქორწილი სახე-დაუდებელი და ივანე-მეფემოვლი“ -ო („ისტორიანი და აზმანი...“ *636, გვ. 417). „ულუმბიანობა“, ცხადია, აქ ბერძნული გავებაა მეფეთა დავითიანობისა, რამდენადაც ბერძენთათვის ოლიმპოს მთა იყო მოაზრებული მათეული ღმერთების სავანედ და თავად ღმერთები იყვნენ გაგებული „ოლიმპიელებად“, ძველ-ქართული წარმოდგენით: „ულუმბიანობად“ (აქედან „ულუმბიანი“). ურადსაღებია ის ფაქტიც, რომ საქართველოს მეფეთა „დავითიანობის“ კონტექსტში ივანე ჯავახიშვილი ვერ ასახელებს დავით აღმაშენებელს: – დავით აღმაშენებლისათვის, მისი აღსარებიდან თუ ვიმსჯელებთ, – ბრძანებს ბნი ივანე, – „მეფის ხელისუფლება თვით ღმერთმა პირადად არწმუნაო მს“. ე. ი. ივანე ჯავახიშვილისეული ხაზგასმით, დავით აღმაშენებელს, როგორც საქართველოს მეფეს, თავისი დავითიანობის წარმომავლობისათვის, ანუ საკუთარი მეფობის დავითობობის დასტურისათვის არ სჭირდება შუამდგომლობა დავითისა, ებრაელთა მეფისა ღმერთთან, ანუ არ სჭირდება „დავითიანობა“, როგორც აღმნიშვნელი ტიტული ებრაელთა მეფის, დავით წინასწარმეტყველის შუამდგომლობისა ღმერთთან (მით, „ქართ. სამართლის ისტ.“ გვ. 119). ამიტომ დავით აღმაშენებელი თავის წყალობის წიგნს შოი მღვიმის მონასტრისადმი ასე იწყებს: „ნებითა ღვთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მეფისა...“. დაეკვირდეთ: დავით აღმაშენებელი თავის თავს არ წარმოადგენს სხვათა ბაგრატიონთა მეფეთა მსგავსად: მე, დავითიან-სოლომონიანმან-ო ესა და ეს ვაბოძეთო... არამედ ამბობს: „ღვთის ნებით ამათ და ამათ მეფემო...“. სრულიად გამჭვირვალედ და მკვეთრად, ივანე ჯავახიშვილისათვის, საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა წოდებანი წარმოადგენს საქართველოს ისტორიისა და ისტორიულ-ეტიმოლოგიურ შექმნილ ტიტულს, ერთგვარ სტატუს-მასხიათებლებს და არავითარი საერთო ამ წოდებებს მეფეთა გენეტიკურ წარმომავლობასთან არა აქვთ. სრულიად ანალოგიურია კორნელი კეკელიძისეული გაგებაც, რომელიც ჩვენს მიერ ხუმთხმობილ ციტატს ახლავს. კორნელი კეკელიძის მიერ, ისევე როგორც ივანე ჯავახიშვილი მიერ, საქართველოს მეფეთა ამდღველი ტიტულები ქვეყნის გაერთიანებისა და აღმავლობის ისტორიასთან დაკავშირებული ტიტულებია. უცხოთაგან დაპყრობილი ქვეყნის სამეფო დინასტიის წარმომადგენლები, ბუნებრივია, ვერ შექმნიდნ თავიანთი დავითიანობის წარმომავლობის ტიტულს: – ეკლესია დარაჯად უდგას ახლადფუხადმულ სახელმწიფოს განმტკიცება-მაგრებას და შეუბრალდელად ამხელს ყველას, თუ ვინც მეფესაც, ვინც კი ხუნებრივ პრინციპს დალატობს – წერს კორნელი კეკელიძე. – სახელმწიფოს განმტკიცება-გამდიერების მიზნით, ამ სახელმწიფოს უხუნავს წარმომადგენელს, მეფეს, ქართული ეკლესია ბიბლიური წარმომავლობის მარვანდობითაც კი მოსახს“. მართლაც გრიგოლ ხანძთელი ეუბნება აშოტ კურაპალატს: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებული ხელმწიფო“ -ო. როგორც ვხედავთ, კორნელი კეკელიძის განმარტებით ბიბლიური წარმომავლობა მარვანდობის მნიშვნელობისა ქართველი მეფეებისათვის. მეფეთა პრიორიტეტულობა, აღმაშენებელია, ქართული ლიტერატურის ამ უმნიშვნელოვანესი მკვლევარისა და მისტორიკოსის, საქართველოს მეფეთა პიროვნული ხუნებრიობა და ძალმოსილება იყო ქვე-

ნისა და მისი სახელმწიფო ძლიერების, სახელმწიფოს განმტკიცებული ერთიანობისათვის საჭირო საფუძველი. აი, რატომ აიტაცა საქართველოს სამეფო ცნობიერება და მისმა მეფობებმა მემკვიდრეობა ხელვამ საქართველოს მეფეთა დავითიანობის წარმომავლობის წოდებად შექმნილი „დავითიანობის“ ტიტული, გარდა იმისა, რომ მას საკუთრივ რელიგიური, ანუ ეროვნულ-მეცნიერული დანიშნულების გამო-სახველობა ჰქონდა და ამ თვალსაზრისით, დროის შესაბამისი დირექტივებია, უფრო ერის ტიტული იყო, ვინც მეფისა. ამრიგად, არც ერთს, არც ერისკაც მეცნიერს, „ქართველი ერის ისტორიის“ ავტორს, ივანე ჯავახიშვილს და არც მღვდლად კურთხეულ მეცნიერს – კორნელი კეკელიძეს, აზრად არ გაუვლიათ ბაგრატიონთა „დავითიანობაში“ ეკლესიის მათ რაიმე მისხალი მათი გენეტიკურ წარმომავლობითი მნიშვნელობისა ისრაელიანთა მეფისაგან. ხაზგასმით არის აღსანიშნავი ისიც, რომ გიორგი მერნულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ – ბაგრატიონთა ისტორიულად ამ პირველ მოხსენებაში „დავითიანობად“, მეფე აშოტ კურაპალატია წარმოდგენილი. ისტორიულად „კურაპალატობით“ ცნობილი, იგი პირველად მოიხსენიება „დავითის შვილობის წოდებულობით“. ამგვარად „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ იგი, როგორც საქართველოს მეფე, ორი წოდებით არის წარმოდგენილი: „კურაპალატობით“ და „დავითის შვილობით“. პირველი წოდება იმპერიულ – სახელმწიფოებრივია, მეორე – რელიგიური. როგორც „კურაპალატობა“ არ ნიშნავს ბიზანტიულობას, ისე „დავითიანობა“ არ ნიშნავს აქ ებრაელობას. არანეულებრივი ფაქტია ქართველ ბაგრატიონთა „დავითიანობის“ ასახსნელად, რომ საქართველოს სამეფო ტახტისა და სომხეთის სამეფო ტახტის ბაგრატიონთაგან, რომელიც სრულიად ერთხმადი მეცნიერული აღიარებით, ერთი გენეტიკური ძირიდან არიან მომდინარენი, მხოლოდ ქართველი ბაგრატიონები იწოდებიან „დავითიანებად“, ხოლო სომხეთის ბაგრატიონები-არასოდეს. ცხადია, ამგვარი წოდების საფუძველი უნდა ვეძებთ საკუთრივ საქართველოს მეფობაში, იმაში, რომ საქართველო და საქართველოს მეფობაა განმსაზღვრელი ამ ისტორიული ტიტულის ფლობისათვის. რამდენადაც საქართველოს ბაგრატიონი მეფის „დავითიანობა“, უპირველესი ისტორიული ცნობით, ანუ გიორგი მერნულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებით“ გაუღებულა სწორედ სამონასტრო სივრცეში, ამასთან როგორც გაზიარებული და აღიარებული დიდი სამონასტრო საგანის წინამძღვრის, გრიგოლ ხანძთელის მიერ, და რამდენადაც ეს ტიტული ეკლესიური შინაარსისა და ეკლესიური ღირებულების მომცველია, სრული საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ ეს წოდება ეკლესიური ხედვითა და ეკლესიური მენტალიტეტით შემდგარი წოდებაა, ამასთან სრულიად შესაძლებლობით, სწორედ იმ მონასტრული სავანის სულიერ ხედვაში, რომელიც „ქართველთა სინას მთად“ იყო წოდებული. დიდი საეკლესიო მოღვაწის, გრიგოლ ხანძთელის საწინამძღვრო – კლარჯეთის დიდი სავანე, როგორც ქართული ანალოგი ბიბლიური სინას მთისა, სადაც წინასწარმეტყველი მოხე უფლისაგან იღებდა ათ მცნებასა და სჯულის კანონებს თავისი ხალხის ცხოვრების გზის წარმართვისათვის, ცხადია, თავისი წოდებულობით „ქართველთა სინას მთად“, პირველ რიგში გულისხმობდა სწორედ იმავე ფუნქციასა და მნიშვნელობას ქართველთათვის, რაც სინას მთას ჰქონდა ძველი ალექსიანული ერისათვის – ებრაელთათვის: ანუ გულისხმობდა უფლის გამოცხადებითა და უფლის კარნახით დადგენილ კანონთა სავანეს ქართული ქრისტიანული ცხოვრების წარმართვისათვის. ხოლო რამდენადაც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში, საქართველოს მეფისთვის, იგი, ეს წოდება, მისი სამეფო აღმაშენებლობის სახორტო გამო-სახტულებადაც იმხილება, უნდა ვაღიაროთ რომ მასში, ამ წოდებაში, რაღაც ერთობლივი ეკლესიურ-სახელმწიფოებრივი აზრი და შინაარსიც იყო ჩადებული.

დენიზა სუმბაძე (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

„რიტაც „ბაბჯანარუს“, ეს თავის ფასში „ქიბულის“ შექმნა იყო“

რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა რომ სახელმწიფომ ჯიბეზე ხელი გაიკრა და ქართული ფეხბურთის აღორძინების ხუთწლიანი გეგმის დაფინანსება გადაწყვიტა...

მეზვანაძეს გაეცინა და დათანხმდა. პირველმა მდივანმა კი მომცა ბინა, მაგრამ მაშინდელი ორჯონიკიძის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე გაჯიუტდა - ერთი კაცი სთვლის ამხელა ბინა ჯერ არასდროს მიგვიციაო...

ნემპოინი გახდა, ორი მედალი მომცეს. ნემპოინობაზე პრემია არ აგვიღია, არ იყო მაშინ ასეთი წესები. ერთადერთი, რითაც „გაგვასხარეს“, ეს თავის ფასში „ქიბულის“ შექმნა იყო.

თული იყო, მაგრამ იმ დროს უკვე დაოჯახებული ვიყავი და ბინა ჩემთვის დიდი შეღავათი იყო“.

რამდენიმე ათეული წლის წინ ქართველ მოთამაშეებს ზღაპრული პირობები არ ჰქონიათ. ისინი მოყვარულ სპორტსმენებად ითვლებოდნენ და როგორც სოციალისტურ წესობაში მიღებული გახდა, საკუთარი შრომის სანაცვლოდ საბჭოთა მშრომელების ტიპურ ანაზღაურებას იღებდნენ...

სამბო (პოტირაქაძე) „ოქროს მატჩის“ შემდეგ ყველა თავისთან გეგმატივობდა და პრემიებსაც გვაძლევდნენ. მაგალითად, საკავშირო ფეხბურთის ფედერაციამ 400 მანეთი გადმოგვცა...

თბილისის „დინამოში“ თამაშისას ხშირად დავდიოდით უცხოეთში, მაგრამ დღიურს, კვრეთ წოდებულ „სუტონის“ იმდენს გვაძლევდნენ, მხოლოდ სუვენირების შესაძენად გვეყოფინდა. რაც შეეხება პრემიებს, საკავშიროს და ვეროთასების შედარება არ შეიძლება...

„საბრიზო თანხა? ავსტრიაში, იტალიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში და ამერიკაში ხშირად მაჯილდოვებდნენ ფულით, მაგრამ მისი მიღების უფლება არ მქონდა. თანხა საკავშირო სპორტკომიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა და მის გარკვეულ ნაწილს მანეთებში მაძლევდნენ...

გამიგრძობდა სიტყვა. დღევანდელ წერ-ილში წინა საუკუნეში დაგაბრუნებთ და სიტყვას ცნობილ ქართველ სპორტსმენებს გადავცემ, რომლებიც იმ დროს აკრძალულ თემაზე - მატერიალურ წახალისებაზე ისაუბრებენ. თავდაპირველად ფეხბურთით დავიწყეთ.

„ბევრს ჰგონია, რომ „ის“ „ვოლგები“ თავისი თავის მოგების შემდეგ დავერიოვებს, მაგრამ ასე არ მომხდარა. უბრალოდ, ედუარდ შევარდნაძის საგანგებო ბრძანებით, დინამოელებს მანქანების ურთულ გამოყენების უფლება მოგვცეს...

„მოხურთალეების შემდეგ სიტყვა სხვა გამოჩენილ სპორტსმენებსაც გადავცეთ.“

ერთხელ, მორიგი გამარჯვების შემდეგ, დამიძახეს იქ, „ხევეთ“ და მითხრეს: ავტომობილი უნდა გადმოგცეთ და აირჩიე, რომელი გინდაო - ზიმი, გახ-21 თუ „აპბედაო“. ვუთხარი, არცერთი არ მინდა გენაცვალე „კოლხოსნიკი“ მომიცით-მეთქი...

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის ნიგნ „ლავრენტი ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი“-ს თარგმანის მეოთხე ბოვი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა

გაზეთი „ილორი“ მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სახელგანთქმული სახალხო მკურნალი, ავადსახსენებელი ნაციონალური და დღევანდელი ხელისუფლების მიერ დევნილი, მრავალი მოურჩენელი დაავადების, მათ შორის მძიმე ონკოლოგიური ფორმის მქონე დაავადებების დამამკაცებელი ბიჭიკო (დომენტი) ბაბნიკი და სამბიმარს ვუცხადებთ გარდაცვლილის ოჯახს.



უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა „ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი“ (რედაქტორი ალექსანდრე შენბერი). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ მხარდაჭერით. წიგნების შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ოფისში. ტელ. 599.209.624

ილერო მთავარი ექიმი ეკითხება პალატის ექთანს: - ღამე რამდენი კაცი მოკვდა? - სამი. - უცნაურია, მე ხომ ოთხი რეცეპტი გამოვწერე... - რატომ გაიქცით ჯარიდან? - ავადმყოფობის გამო. - რა ავადმყოფობა გჭირთ? - არ ვიცი, მაგრამ ჩემს დანახვაზე მთელ ნაწილს გული ეტოვდა. - გოგონა, თქვენ მართლა არ ეწვევით, არ სვამთ და კაცებს არ ხელებით? - დიახ! - რატომ? - მომბეზრდა... - ქუთაისელი წიგნს კითხულობს. ამხანაგი ეკითხება: - რას კითხულობ? - „საქართველოს ეკონომიკა“-ს! - ვიცი, წაკითხული მაქვს, ბოლოს კვდება!

გარდაცვლილს სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუხმო ომი ეპლავრ ნაშიონალურ ფარმაცოთს, მის დაქირავს რომ სდილობდა. ღომინტი ბაბნიკის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ათეფისებთან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუგალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნეფროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰეპრენავს გაფანტული სკლეროზის და შიდსს, შეუღის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქენას, პროტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიაში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამჟებებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას. ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებს მისი ვაჟი ილია ზეზვა. კოლდინატეია: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო „ისან-თან“), ყოველდღე - 10-დან 16 საათამდე. ტელ: 593-22-66-51